

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირაკლი ბარამიძე

ქართული ენის სწავლების მიმართ პოზიტიური
დამოკიდებულებების განმაპირობებელი ფაქტორები
კომპაქტურად მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებში

სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნანა მაჭარაშვილი
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ქართული ენის სწავლების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების განმაპირობებელი ფაქტორები კომპაქტურად მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებში

აბსტრაქტი

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელი და სომეხი საქართველოს მოქალაქეები საუკუნეზე მეტია ცხოვრობენ, ერთგვარ ჩაკეტილ საინფორმაციო, საზოგადოებრივ და კულტურულ სივრცეში. მათი კომპაქტური ჩასახლებები წარმოადგენენ ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრებისგან მოწყვეტილ ერთეულებს, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან ამოვარდნილნი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან, რაც მეტწილად განპირობებულია მათ მიერ ქართული ენის არცოდნით წარმოქმნილი ბარიერების გამო. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების დასახლებები, სხვადასხვა ისტორიულ და პოლიტიკურ მოვლენათა გამო, მდებარეობენ საქართველოსა და მათი ისტორიული სამშობლოს სასაზღვრო რაიონებში, რის გამოც აქ მცხოვრები მოსახლეობისთვის კულტურული, ეკონომიკური და სოციალური მიზიდულობის ძალა ყოველთვის იყო და არის სომხეთი და აზერბაიჯანი, მათი ისტორიული სამშობლო, ასევე ხშირ შემთხვევაში რუსეთის ფედერაცია და თურქეთი. ყოველივე ზემოთქმულისგან გამომდინარე, ნათელია, რომ არსებული პრობლემა სახელმწიფოებრივი დონისაა, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებისგან მოითხოვს სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების მიზანმიმართულ გატარებასა და აღსრულებას, რომელიც უნდა წარმოადგენდეს არსებული სიძნელების გადაჭრის ადეკვატური და რეალისტური ნაბიჯების სისტემურ ერთობლიობას.

არსებული რეალობის მიუხედავად, ზემოაღნიშნულ დასახლებებში არცთუ ხშირად, მაგრამ მაინც შესაძლებელია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან შეხვედრა, რომლებიც სალაპარაკო დონეზე თავისუფლად ფლობენ ქართულ ენას. წინამდებარე კვლევა ორიენტირებული სწორედ ასეთ ინდივიდებზე, რათა გამოკვეთლ იქნას ყველა ის ფაქტორი რომლებიც ახდენენ ქართული ენის შესწავლის წახალისებას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კვლევა ფოკუსირდება ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების დამოკიდებულებების შესწავლაზე ქართული ენის მიმართ, კვლევა ორიენტირებულია

არა ზოგად დამოკიდებულებაზე, არამედ მხოლოდ პოზიტიურ დამოკიდებულებაზე. კერძოდ, რა ფაქტორები განაპირობებს ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართული ენით დაინტერესებას. კვლევის ობიექტი ასევე არის, რამდენად ინფორმირებულები არიან ეთნიკური უმცირესობები და რა დამოკიდებულება აქვთ სახელმწიფოს მიერ ქართული ენის პოპულარიზაციისთვის განხორციელებული ქმედებების მიმართ. კვლევის წინასწარი მოლოდინებიდან გამომდინარე შესაძლოა ვიმსჯელოთ, რომ ქართული ენის შესწავლის განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი შესაძლოა იყოს ეკონომიკური ურთიერთობები და დასაქმება. წინამდებარე კვლევის შედეგები შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს იმ სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, რომლებიც მუშაობენ აღნიშნულ საკითხებზე, რადგან კვლევის შედეგად გამოვლენილი ფაქტორები შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც პირდაპირი გზა კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ქვეყანაში სრულფასოვანი ინტეგრაციისკენ.

Positive attitudes towards the teaching of Georgian language in the ethnic minorities
living in compact

Abstract

Irakli Baramidze

Ethnic Azeri and Armenian Georgian citizens living in Kvemo Kartli and Samtskhe-Javakheti have been living for more than a century, in some closed information, public and cultural spaces. Their compact settlements are the ones that have been cut off from the country's daily life, which are importantly exhausted from the ongoing processes in the country, largely due to the barriers arising from the lack of Georgian language. In addition, it should be noted that the compact ethnic minority settlements, different historical and political events that are located on their historic homeland in the border areas, which is why the local population for cultural, economic and social power of attraction has always been and is in Armenia and Azerbaijan, their's Oriya homeland, as well as in many cases the Russian Federation and Turkey. Based on all of the above, it is clear that the current problem is state level that demands from the government of the country to make deliberate implementation and enforcement of decisions based on in-depth analysis, which should constitute a systematic combination of adequate and realistic steps to address existing difficulties.

In spite of the existing reality, meeting with representatives of ethnic minorities in the above-mentioned settlements is not possible, but they are free to speak Georgian language at the level of dialogue. This research is oriented on such individuals to address all the factors that encourage the study of Georgian language. Therefore, the research focuses on studying the attitudes of ethnic minorities living in Kvemo Kartli and Samtskhe-Javakheti in the Georgian language, research is not focused on general attitude but only positive attitude. In particular, what factors drive ethnic Georgian minority interest in Georgian language. The object of the study is also how ethnic minorities are informed and what attitude towards the actions taken by the state to popularize the Georgian language. Based on the preliminary expectations of the research, we can consider that the main factor in the study of Georgian language can be economic relations and employment. The results of this study may be important for the state structures working on these issues as the factors identified as a result of

the research can be considered as a direct path to the integration of compact living ethnic minorities in the country.

სარჩევი

1. შესავალი	7
1.1 თემის აქტუალურობა	9
1.2 ნაშრომის მიზანი და საკვლევი კითხვა.....	15
1.3 მეთოდოლოგია და კვლევის ლიმიტი.....	18
2. ლიტერატურის მიმოხილვა.....	24
3. კვლევის შედეგები.....	32
4. კვლევის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები და ტენდენციები	39
5. დასკვნა	43
6. გამოყენებული ლიტერატურა	45

1. შესავალი

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ეთნოსების ცნობიერებაში, სალაპარაკო ენა მათი იდენტურობისა და განსაკუთრებულობის განმსაზღვრელი ერთერთი უმთავრესი ფაქტორია. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მსოფლიოში არსებობს განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები რომელთაც აქვთ საერთო სასაუბრო ენა, რაც იმის მანიშნებელია, რომ სალაპარაკო ენა, რიგ შემთხვევებში სულაც არ წარმოადგენს ეთნიკური კუთვნილების განმსაზღვრელ ფაქტორს (Jenkins, 2013). მსგავსი ენის მქონე, თუმცა განსხვავებული ეთნოსის წარმომადგენლები არიან ჰოლანდიელები და ფლამანდრიელები, ამერიკელები, ახალი ზელანდიელები, ავსტრალიელები და ბრიტანელები და სხვა (Wicherkiewicz, n.d.). საქართველოში ენა ეთნიკური იდენტურობისა და თვითშეგნების განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორია (Melikishvili & Jalabadze, 2015).

შემდეგ აბზაცში გამოყენებული ინფორმაცია სრულად ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში ცხოვრობს 233 000 ეთნიკურად აზერბაიჯანელი და 168 100 ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქე (საქსტატი, 2016). მათი დიდი ნაწილი კომპაქტურად არის დასახლებული საქართველოს საზღვრებთან არსებულ რამდენიმე მუნიციპალიტეტში. 2002 და 2014 წლების საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების შეჯამების შედეგად შეგვიძლია დავადგინოთ საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები სომეხებისა და აზერბაიჯანელების სავარაუდო რაოდენობა:

ა) ეთნიკური სომეხების კომპაქტური დასახლებები, სადაც ისინი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ არის:

1. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველაზე მრავალრიცხოვანი მუნიციპალიტეტი - ახალქალაქის მუნიციპალიტეტი: სულ მოსახლეობის რაოდენობა 45 070 აქედან დაახლოებით 94% (42 300 ადამიანი) ეთნიკურად სომეხია (Geostat, 2019)

2. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველაზე მრავალრიცხოვან მუნიციპალიტეტებს შორის რიგით მესამე - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი: სულ მოსახლეობის რაოდენობა 24 491 ადამიანი, აქედან დაახლოებით 96% (23 500 ადამიანი) ეთნიკურად სომეხია (Geostat, 2019).

3. ქვემო ქართლის რეგიონის ყველაზე მცირერიცხოვანი მუნიციპალიტეტი - წალკის მუნიციპალიტეტი; სულ მოსახლეობა 18 849 ადამიანი, აქედან დაახლოებით 55% (10 300 ადამიანი) ეთნიკურად სომეხია. ზემოხსენებული სამი მუნიციპალიტეტი (ახალქალაქის, ნინოწმინდისა და წალკის) წარმოადგენს ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქეების კომპაქტურად დასახლების ადგილს (სულ დაახლოებით 76 000 ადამიანი) (Geostat, 2019).

ბ) ეთნიკური აზერბაიჯანელების კომპაქტური დასახლებები, სადაც ისინი მოსახლეობის უმრავლესობას ან დიდ ნაწილს შეადგენენ არის:

1. ქვემო ქართლის რეგიონის ყველაზე მრავალრიცხოვანი მუნიციპალიტეტი - მარნეულის მუნიციპალიტეტი ; სულ მოსახლეობის 104 300 ადამიანი, აქედან დაახლოებით 83% (86 500 ადამიანი) ეთნიკურად აზერბაიჯანელია (Geostat, 2019)

2. ქვემო ქართლის რეგიონის დმანისის მუნიციპალიტეტი: სულ მოსახლეობის 19 141 ადამიანი, აქედან დაახლოებით 67% (12 800 ადამიანი) ეთნიკურად აზერბაიჯანელია (Geostat, 2019).

3. ქვემო ქართლის რეგიონის ბოლნისის მუნიციპალიტეტი: სულ მოსახლეობის 53 590 ადამიანი, აქედან დაახლოებით 66% (35 400 ადამიანი) ეთნიკურად აზერბაიჯანელია (Geostat, 2019).

4. ქვემო ქართლის რეგიონის გარდაბნის მუნიციპალიტეტი: სულ მოსახლეობის 81 876 ადამიანი, აქედან დაახლოებით 44% (36 000 ადამიანი) ეთნიკურად აზერბაიჯანელია (Geostat, 2019).

ზემოაღნიშნული ოთხი მუნიციპალიტეტი (მარნეულის, დმანისის, ბოლნისისა და გარდაბნის) წარმოადგენს ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეების კომპაქტურად დასახლების ადგილს (სულ დაახლოებით 171 000 ადამიანი) (Geostat, 2019).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 7% განაწილებულია კომპაქტურ დასახლებებში ორ ეთნიკურ - სომხურ და აზერბაიჯანულ ჯგუფებში. სულ კი საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 13%-სთვის ქართული არ წარმოადგენს მშობლიურ ენას (ISSA, 2011). როგორც კვლევები აჩვენებს მათი გარკვეული ნაწილი სალაპარაკო დონეზეც კი ვერ ფლობს ქართულ ენას, რის გამოც ეს ადამიანები ვერ ახერხებენ დანარჩენ საქართველოსთან სრულფასოვან კომუნიკაციას, თვალს ვერ ადევნებენ ქართულ მედია საშუალებებს, რის გამოც იმყოფებიან ინფორმაციულ ვაკუუმში, ვერ იღებენ სათანადო განათლებას და სოციალურ სერვისებს. საბოლოოდ კი, სახეზეა ქვეყანაში მათი ინტეგრაციის დაბალი დონე. საბჭოთა პერიოდში ზემოაღნიშნული სიტუაცია ნაკლებად პრობლემური იყო, შესაბამისად მას დიდი ყურადღება არ ექცეოდა, მაგრამ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, საკითხის აქტუალურობა და შესაბამისად, მისდამი ინტერესიც ერთიორად გაიზარდა.

1.1 თემის აქტუალურობა

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არაერთი მწვავე პრობლემა არსებობს, მაგრამ, მათ შორის, ქართული ენის ცოდნის არასაკმარი დონის პრობლემა ამჟამად, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე აქტუალურია. აღნიშნული პრობლემა მნიშვნელოვნად აბრკოლებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური, ასევე სოციალური და კულტურული ინტეგრაციის დონეს. დროის გასვლასთან ერთად, ამ პრობლემის სიმწვავე არათუ მცირდება, არამედ მისი აქტუალურობის დონე შესაძლოა იზრდებოდეს კიდევ. ეთნიკური უმცირესობების ნაწილი გამოხატავს ქართული ენის შესწავლის სურვილს, თუმცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი (მათ შორის ახალგაზრდები) არასაკმარისად არიან მოტივირებულები, რომ შეისწავლონ სახელმწიფო ენა, ვინაიდან არ აქვთ იმის მოლოდინი, რომ ენის შესწავლა გაზრდის ქართულ საზოგადოებაში მათი წარმატებისა და თვითრეალიზაციის ალბათობას. მეორე მხრივ, რუსული ენის როლის

მუდმივი კლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში კიდევ უფრო ართულებს ქართველებსა და არაქართველ მოსახლეობას შორის ურთიერთობას. ეს ხელს უწყობს როგორც მოსახლეობის ნაწილის მარგინალიზაციას, ისე ეთნიკურ თემებს შორის უნდობლობისა და დამაბულობის განვითარებას.

გასული საუკუნის 90-ან წლებში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსახლეობას ქართული ენის შესწავლის სტიმული ნაკლებად ჰქონდა, გამომდინარე იქედან, რომ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობდნენ (და ახლაც ცხოვრობენ) კომპაქტურ დასახლებებში, მათთვის აუცილებელი საურთიერთობო ენა იყო და არის მშობლიური (სომხური ან აზერბაიჯანული) და არა ქართული ენა. რაც შეეხება იმავე, ან მეზობელ რაიონებში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას, მათთან, საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული კომუნიკაცია დღემდე მყარდება რუსულ ენაზე (კოპაძე, 2009).

ეთნიკურ უმცირესობებთან წარმოებული პოლიტიკის ნეგატიური გამოცდილებისა და საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში სომხურ და აზერბაიჯანულ მოსახლეობასთან მიმართებაში, მეტწილად, პასიურ როლს იწარჩუნებდა. ამ ყველაფრის გამო სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მიმდინარე პროცესები სტიქიურად ვითარდებოდა, რამაც არსებული სიტუაციის, საუკეთესო შემთხვევაში, უძრავ მდგომარეობაში შენარჩუნება, რიგ შემთხვევაში კი დამძიმება გამოიწვია. რაც გამოიხატა ეთნიკური უმცირესობების თვითიზოლაციურ პოლიტიკაში, რის საფუძვლადაც მათი მხრიდან ქვეყნის მთავრობის უმოქმედობა და უყურადღებობა სახელდებოდა.

ქვეყნის მთავრობამ დაინახა რა პასიური პოლიტიკისგან მიღებული შედეგები და სამომავლო პერსპექტივები, თანდათანობით, დაახლოებით 15-20 წლის წინ, სიტუაციის გამოსწორების მიზნით დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხარისხის დასადგენ ერთერთ მთავარ კრიტერიუმად განსაზღვრულ იქნა უმცირესობებს შორის ქართული ენის ცოდნის მაჩვენებელი. ამიტომ, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისკენ მიმართული ქმედებები

თავიდანვე ორიენტირებული იყო ქართული ენის, როგორც ჩვენი ქვეყანის ერთადერთი სახელმწიფო ენის (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართული ენის გარდა სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს აფხაზურსაც) გავრცელებისკენ, რაც გამოიხატა განათლების სფეროში გატარებული ღონისძიებებით, როგორც ზოგადი, ასევე პროფესიულ და უმაღლესი განათლების დონეებზე. გატარებული ღონისძიებები ძირითადად მიმართული იყო საგანმანათლებლო სფეროს მოქნილობის გაზრდისა კვალიფიციური კადრების მომზადებისკენ: დაიწყო მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებებისა და მათი სერთიფიცირების პროცესი (მეხუზლა & როშე, 2009). 2016 წლიდან სახელმწიფო არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების განვითარების პროგრამას ახორციელებს, აღნიშნული პროგრამა მოიცავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გასულ წლებში განხორციელებულ პროგრამებს, - „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ (2009-2015 წწ) და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ (2011-2015 წწ). 2010 წლიდან შემუშავდა ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლის სტანდარტი, ასევე - ბილინგვური მასწავლებლის სტანდარტი. დაიწყო სასკოლო სახელმძღვანელოებისა და პროგრამების ადაპტირება სპეციალურად სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისთვის. არაქართულენოვან მოსახლეობაში პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის შემუშავდა სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ტესტები, ხოლო სწავლების პროცესში ინტეგრირებულ იქნა ქართული ენის ინტენსიური კურსები (მატეუ, 2016). ამოქმედდა ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი ცენტრები არაქართულენოვანი სკოლების დამამთავრებელი სკოლების მოსწავლეებისთვის (ბეჟიშვილი, 2010). უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებლად შემუშავდა ზოგადი უნარების სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ტესტები. შემუშავდა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ეთნიკური უმცირესობებისთვის საშეღავათო კვოტირების პოლიტიკა და 1+4 სწავლების მეთოდი, რომლის ფარგლებშიც უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრილი სტუდენტი პირველ წელს გადის ქართული ენის შესწავლის ინტენსიურ კურსს, შემდეგი ოთხი წელი კი ეუფლება მის მიერ არჩეულ პროფესიას. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში გაიხსნა ქართული ენის სახლები, რომელიც ორიენტირებულია

ზრდასრულ მოსახლეობაში ქართული ენის სწავლებაზე. საჯარო სექტორში დასაქმებული არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის შეიქმნა სპეციალური პროგრამები და სასწავლებლები, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა“ რომელიც 10 რეგიონული სასწავლო ცენტრისა და მობილური ჯგუფების მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფო ენის შესწავლას (Zspa, 2019). სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით გაიხსნა ქართული ენის შესწავლის უფასო ინტერნეტ საიტი teach.ge. იმართება ქართული ენის შესწავლის ხელშემწყობი სხვა პროგრამები, ისეთები როგორებიცაა ესეების კონკურსები და საზაფხულო ბანაკები.

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მცხოვრები აზერბაიჯანელი და სომეხი საქართველოს მოქალაქეების კომპაქტური დასახლებები წარმოადგენენ ქვეყნის დანარჩენი ნაწილის ცხოვრებისგან ერთგვარად გამოყოფილ ერთეულებს, რომლებიც მოწყვეტილნი არიან ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ პროცესებს. ასეთი მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის განპირობებული მათ მიერ ქართული ენის არცოდნის გამო. კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ასეთ ვითარებაში ცხოვრება დაახლოებით ერთ საუკუნეს ითვლის, ისინი ცხოვრობენ იზოლირებულ, ჩაკეტილ, გარემოში და მოწყვეტილნი არიან დანარჩენი ქვეყნის პოლიტიკურ, საინფორმაციო და კულტურულ ყოფას. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გარკვეულწილად აბრკოლებს ეთნიკური უმცირესობების ქვეყანაში ინტეგრაციას არის ის მოცემულობა, რომ კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების დასახლებები, როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვადასხვა ისტორიულ და პოლიტიკურ მოვლენათა გამო, მდებარეობს საქართველოსა და მათი ისტორიული სამშობლოს მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებში. სწორედ ამ ფაქტორის მიერ არის გამოწვეული, რომ კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის კულტურული, ეკონომიკური და ა.შ. მიზიდულობის ძალა ყოველთვის იყო და არის მათი ისტორიული სამშობლო სომხეთი და აზერბაიჯანი, ხშირ შემთხვევაში რუსეთის ფედერაცია და თურქეთიც. სწორედ ეს ორი ფაქტორი არის ეთნიკური

უმცირესობებისა და დანარჩენ ქვეყანას შორის ომბრივი გაუცხოების უმთავრესი მიზეზი.

ქართული ენის არცოდნის გამო ეთნიკურ უმცირესობებს ექმნებათ მთელი რიგი პრობლემები:

- არაქართველებს ექმნებათ პრობლემები სახელმწიფო დაწესებულებებთან მიმართებაში და შრომითი მოწყობის სფეროში;
- ენის არცოდნა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს ხელს უშლის მიიღონ სხვადასხვა სახის მომსახურებები და სამუშაო ადგილები;
- ეთნიკურ უმცირესობებს პრობლემები ექმნებათ ხარისხიანი განათლების მიღების საკითხში;
- ენის არცოდნის გამო ისინი ვერ იღებენ ადეკვატურ ინფორმაციას ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შესახებ;
- არაქართველებს დაბრკოლებები ექმნებათ ქვეყნის სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისას.

ყველა ზემოაღნიშნული სირთულის არსებობა, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს ექმნებათ ქართული ენის არცოდნის გამო, მიუთითებს, რომ ენის არცოდნა ხელს უშლის ეთნიკურ უმცირესობებს, იყვნენ ქვეყნის აქტიური, სრულფასოვანი მოქალაქეები და გავლენა იქონიონ ქვეყნის განვითარების მიმართულეაზე. პრობლემები დაკავშირებულია გაუცხოებასა და ნდობის დეფიციტთან ქართულ და არაქართულ თემებს შორის, რასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საერთო საკომუნიკაციო ენის არარსებობა (ლობჯანიძე, 2008).

ამ პრობლემის პოზიტიური გადაწყვეტით დაინტერესებულ მხარედ, პირველ რიგში თავად ეთნიკური უმცირესობები შეგვიძლია განვიხილოთ, რომლებიც, აჟამად თავს მთავრობისგან უყურადღებოდ მიტოვებულ, მეორეხარისხოვან მოქალაქეებად გრძნობენ. მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია დანარჩენი მოსახლეობისა და ქვეყნის მთავრობისთვისაც ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან პრობლემის გადაწყვეტით ამაღლდება ქვეყანაში მიმდინარე ამა თუ იმ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა, მიღწეულ იქნება ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის უფრო მაღალი ხარისხი, რაც

განაპირობებს ქვეყნის შემდგომი განვითარების ტემპების დაჩქარებას (ასლამაზიშვილი, 2009). პროცესში მონაწილე ზემოაღნიშნულ აქტორთა მიზნები, საერთო ჯამში, მიმართულია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისკენ, რაშიც მთავარი როლი, უდავოდ, ქართულმა ენამ უნდა შეასრულოს.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ, განვლილ პერიოდში, ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისკენ გადადგმული ნაბიჯები, საერთო ჯამში, პოზიტიურია და საწყის მდგომარეობასთან შედარებით მიღწეულიც არის გარკვეული შედეგები, მაგრამ ჩატარებული სამუშაოების ეფექტურობა დაბალია, რადგან პროცესი მიმდინარეობს ნელი ტემპით და არ ფიქსირდება მდგომარეობის შესამჩნევი გაუმჯობესება

შექმნილი ვითარების სიმძიმისა და აქტუალურობის ხარისხის დასადგენად საკმარისია განვიხილოთ ახალქალაქისა და მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლები, მათი პროფილების მიხედვით: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ამჟამად, არსებობს 65 საჯარო სკოლა, საიდანაც მხოლოდ 9 არის ქართულენოვანი. მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული 75 სკოლიდან კი 9 - ქართული, 4 - ქართულ/აზერბაიჯანული, 1 - ქართულ/სხომური 3 - ქართულ/რუსული, დანარჩენი კი მთიანად არაქართულენოვანი (Catalog.edu.ge, 2019). არსებული სტატისტიკა, ყოველგვარი დამატებითი მონაცემების გარეშე გვაწვდის ინფორმაციას ქართულენოვანი სკოლებით და შესაბამისად ქართული ენის შესწავლით მოსახლეობის დაინტერესების დაბალი დონის შესახებ (ტაბატაძე & გორგაძე, 2015), რაც თავის მხრივ ხაზს უსვამს შექმნილ მძიმე მდგომარეობას.

ქართული ენის არცოდნის გამო, მძიმე ვითარებაა ადგილობრივ მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელების მხრივაც, გარდა ენობრივი ბარიერისა, ქართული ტელევიზიების მხრიდანაც ნაკლები ყურადღება ექცევა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი აუდიტორიის მოსაზიდი გადაცემებისა და სიუჟეტების გაშუქებას. საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხი უმცირესობათა ენებზე მაყურებელს სთავაზობს ყოველდღიურ 15 წუთიან მიმოხილვას „ეროვნული ახალი ამბები“ საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ, რაც, თანამედროვე პირობებში

ინფორმაციის გავრცელების სისწრაფის გათვალისწინებით არასაკმარისია. ასევე მე-2 არხი სთავაზობს ეთნიკურ უმცირესობებს რუსულენოვან პროგრამას სახელწოდებით „ნამდვილი დრო“ (Nastojascheye vremja) რომელიც მაყურებელს აწვდის მსოფლიოში მიმდინარე ყოველდღიურ პოლიტიკურ ინფორმაციასა და ანალიზს. გადაცემა „ჩვენი ეზო“ ეთერში გადიოდა კვირაში ოთხჯერ და მიზნად ისახავდა მრავალფეროვან საქართველოზე საუბარს, რომლის ეთერშიც სასაუბროდ იწვევდნენ უმცირესობათა წარმომადგენლებს. აღნიშნული პროგრამა 2015 წლის ივლისში დაიხურა.

დღესდღეობით უმცირესობათა საკითხებზე პირველ არხზე არსებობს გადაცემა „მრავალფეროვანი საქართველო“, რომლის მიზანი „საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობა; მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლება; მრავალფეროვან კულტურათა დიალოგის და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა“ (პირველი არხი, თ. გ.). საქართველოში დაარსებული რუსულენოვანი არხი პირველი კავკასიური საინფორმაციო (PIK) რუსულ ენაზე აშუქებდა ახალ ამბებს და კულტურულ პროგრამებს კავკასიასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ. აღნიშნული ტელეარხი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ეთნიკურ უმცირესობებში, თუმცა 2012 წელს დაიხურა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები მთლიანად ორიენტირებული არიან სომხურ, აზერბაიჯანულ ან რუსულ ტელეარხებზე და ნაკლებად უყურებენ ქართულ არხებს, რის გამოც მათ არ აქვთ ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ და იმყოფებიან სხვა ქვეყნების საინფორმაციო ჯგუფში, რაც თავის მხრივ მრავალ პოლიტიკურ რისკფაქტორთანაა დაკავშირებული.

1.2 ნაშრომის მიზანი და საკვლევო კითხვა

როგორც ზემოთ აღნიშნა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი დღემდე ჩვენი ქვეყნის ერთერთ მთავარ გამოწვევად რჩება. პრობლემის სიმწვავეს განსაზღვრავს მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია წინამდებარე კვლევის მთავარ თემასთან. ყველაზე მთავარი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციასთან, არის ქვეყნის

პოლიტიკური სტაბილურობის საკითხი, რაც მნიშვნელოვანია არამარტო საქართველოსთვის არამედ მთელი რეგიონისთვისაც. სამხრეთ კავკასიის, ისევე როგორც მთელი კავკასიის რეგიონის მოსახლეობა განსაკუთრებით სენსიტიურია ეთნიკური კუთვნილების შენარჩუნების საკითხის მიმართ, ამ მხრივ გამონაკლისს არც სომხები და აზერბაიჯანელები წამროადგენენ. აქედან გამომდინარე საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა, ბუნებრივია, რომ ინარჩუნებს ემოციურ, კულტურულ, სარწმუნოებრივ და მენტალურ კავშირს თავის ისტორიულ სამშობლოსთან. ამ ფაქტორს ემატება მათი საქართველოში თვითრეალიზაციის დაბალი შესაძლებლობები, ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე სრულფასოვანი კომუნიკაციის არქონა, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის მინიმალური დონე, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის არქონა და აქედან გამომდინარე მათი სხვა ქვეყნების საინფორმაციო ჯგუფებში თანაარსებობა, სახელმწიფო სტრუქტურებთან გართულებული ურთიერთობები, ქართულენოვანი მოსახლეობის არასათანადო ყურადღება და სხვა მრავალი პრობლემა, რის შედეგადაც მივიღეთ ჩაკეტილი, თვითიზოლირებისკენ მიდრეკილი კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები. ზემოაღნიშნულ სიტუაციას განსაკუთრებით ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ ეთნიკური უმცირესობები დასახლებულნი არიან თავიანთი ისტორიული სამშობლოს სასაზღვრო ზოლში მდებარე სოფლებსა და ქალაქებში. ამის გამო ადგილობრივ მოსახლეობას ეკონომიკური კავშირებიც, უმეტესად სომხეთთან და აზერბაიჯანთან აქვს. რაც გამოიხატება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნაწილის მეზობელ ქვეყნებში გადინებასა და ზემოაღნიშნული ქალაქების, სოფლებისა და მთლიანად მუნიციპალიტეტების ნაკლები ინტეგრაციით ქვეყნის ეკონომიკაში, რის გამოც ქვეყანა კარგავს სამუშაო ძალას და ეკონომიკური პოტენციალის სრულყოფილად რეალიზების საშუალებას. ასევე ენობრივი ბარიერის გამო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი აბიტურიენტები უმაღლესი განათლების მისაღებად მიემგზავრებიან მეზობელ ქვეყნებში, რაც იწვევს მათ კიდევ უფრო მეტად გაუცხოებას. ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ასევე პრობლემურია კანონმდებლობის გავრცელების საკითხი, რაც გამოიხატება სხვადასხვა ტიპის აბრებსა და ბანერებზე

ქართულენოვანი წარწერების არქონასა და დოკუმენტაციის ნაცვლად ქართულისა სომხურ, აზერბაიჯანულ ან რუსულ ენებზე წარმოებაში. ამ ყველაფრის გამო ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში იქმნება დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებული გარემო და უცხო ქვეყანაში ცხოვრების განცდა. რამაც, მთელ რიგ შემთხვევებში ჩვენი ქვეყნის სტაბილურობისთვის ძალზედ სახიფათო და არასასურველ ტენდენციებში ჰპოვა გამოხატულება, დაწყებული ქართველ და არაქართველ მოსახლეობას შორის სხვადასხვა ყოფით და კულტურულ საკითხებზე დაპირისპირებიდან, დამთავრებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ზოგიერთი ჯგუფების მიერ კულტურული ავტონომიის მოთხოვნის საკითხის ინიცირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მოცემული რეალობა არაერთ სირთულესა და დაბრკოლებას უქმნის, როგორც თავად ეთნიკურ უმცირესობებს, ისე ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას და ქვეყნის ხელისუფლებას. ვინაიდან აღნიშნულ პრობლემას ღრმა პოლიტიკური, ისტორიული, კულტურული და სოციალური ფესვები აქვს, ამიტომ მისი გადაჭრისკენ გადაგდმული ნაბიჯები სერიოზულ მომზადებას, დაგეგმვასა და აღსრულებას საჭიროებენ. არაერთი ექსპერტის აზრით ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციასთან დაკავშირებული სირთულეების შერბილების მთავარი გზა გადის სახელმწიფო ენის სწავლებაზე, რომელიც გაწერილი უნდა იყოს დაწყებითი დონის სწავლებიდან და მოიცავდეს საუნივერსიტეტო სწავლებას. უმცირესობის ენობრივი საგანმანათლებლო მოდელები შეიძლება იყოს ერთენოვანი, ორენოვანი ან სამენოვანი. ამ შემთხვევაში, ნაციონალური ენა ისწავლება რეგიონალურთან ან უმცირესობის ენასთან ერთად (Dongera, 2017, p. 27). სახელმწიფო ენა, ადაპტირებული სახით უნდა ისწავლებოდეს ყველა სტუდენტისთვის, რომ მიუხედავად მათი ენობრივი უნარისა, მაინც ყველამ შეძლოს სწავლა დაწყებითი განათლებიდან საუნივერსიტეტო განათლების ჩათვლით (Dongera, 2017, p. 20).

წინამდებარე კვლევაც სწორედ ამ ამოცანას ემსახურება და მისი ძირითადი კითხვა ფორმულირებულია შემდეგი სახით:

რა ფაქტორები განაპირობებს ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტერესს ქართული ენის შესწავლის მიმართ. ასევე, რამდენად ინფორმირებულები არიან ეთნიკური უმცირესობები და რა დამოკიდებულება აქვთ სახელმწიფოს მიერ ქართული ენის პოპულარიზაციისთვის განხორციელებული ქმედებების მიმართ.

ზემოაღნიშნული მიზნის გათვალისწინებით კვლევის ამოცანა არის სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის განწყობებისა და დამოკიდებულების შესწავლა ქართული ენის შესწავლის მიმართ, ასევე სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებების, პროგრამებისა და სხვა აქტივობების მიმართ, რომლებიც მიმართულია ქართული ენის პოპულარიზაციისკენ, ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობის დონისა და დამოკიდებულების შესწავლა. შესაბამისად კვლევის ობიექტი არის სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების 18-დან 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მყოფი წარმომადგენლების განწყობების შესწავლა ქართული ენისა და სახელმწიფო პროგრამების მიმართ.

კვლევას აქვს შემდეგი დაშვებები:

კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობებისთვის ქართული ენის შესწავლის მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორი არის ეკონომიკური ურთიერთობები. ასევე, სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა პერიოდებში გატარებული ღონისძიებები და პროგრამები რომლებიც მიმართული არის ქართული ენის სწავლების მიმართ ეთნიკური უმცირესობების დაინტერესების ზრდისკენ არის ნაკლებად ეფექტური, ვინაიდან მათში ჩართვა და მონაწილეობის მიღება დაკავშირებული არის რთული პროცედურების გავლასთან ან არ შეესაბამება ეთნიკური უმცირესობების ცხოვრების წესსა და ტრადიციებს, რის გამოც უმცირესობის წარმომადგენლები თავს იკავებენ ამ პროგრამებსა და აქტივობებში ჩართვისაგან.

1.3 მეთოდოლოგია და კვლევის ლიმიტი

გამომდინარე იქედან, რომ წინამდებარე კვლევის მიზანია ქართული ენის მიმართ კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების დამოკიდებულებების

კვლევა, ამიტომ პირველხარისხოვან ამოცანად განსაზღვრული იქნა საკითხი, თუ რის მიხედვით უნდა მოხდეს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის იდენტიფიცირება. ტერმინი „ეთნიკური უმცირესობის“ განმარტება თავის ნაშრომში მოცემული აქვს ჯონას გრიმედენს: როდესაც ტერმინი „ეროვნება“ გამოიყენება „ეთნიკური“ განსხვავებულობის აღსანიშნავად, ეს მიუთითებს კონკრეტულ ქვეყანაში, ან ქვეყნის რამდენიმე შტატში მცხოვრებ პირებზე, რომლებსაც საერთო ტრადიციები და მახასიათებლები აქვთ და რომლითაც განსხვავდებიან ქვეყანაში მცხოვრები უმრავლესობისაგან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენა, რელიგია და ისტორია (Grimheden & Ring, 2006, p. 7). აქედან გამომდინარე, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების იდენტიფიცირება, რომლებიც შემდგომში შერჩეულ იქნენ კვლევაში მონაწილეობის მისაღებად, განხორციელდა მათი სალაპარაკო ენით (იგულისხმება მშობლიური ენა), რელიგიით და ისტორიის მიხედვით. სალაპარაკო ენისა და რელიგიისგან განსხვავებით, რომელთა იდენტიფიცირება და მათი კუთვნილების განსაზღვრა განსაკუთრებით სირთულეს არ წარმოადგენს, ისტორიის მცნების განმარტება შესაძლოა რიგ შემთხვევაში ბუნდოვანი და დამაბნეველი აღმოჩნდეს. არ არის გასაკვირი, რომ მცნება „ისტორიის“ აღქმა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში სხვადასხვანაირად იყოს აღქმული და განმარტებული. წინამდებარე კვლევის ფარგლებში მცნება „ისტორია“ აღქმული იქნა, როგორც კონკრეტული მოსახლეობის განსახლების ისტორია მოცემულ გეოგრაფიულ არეალზე. „ისტორიის“ ასეთი განმარტება, ალბათ ყველაზე ადეკვატური და შესაფერისია კვლევის მიზანსა და სპეციფიკასთან მიმართებაში.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა იდენტიფიცირების წესის გარკვევის შემდეგ, უკვე შესაძლოა უმალოდ კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა.

საკითხის სპეციფიკის, ასევე კვლევის, მიზნისა და ამოცანისგან გამომდინარე, კვლევის მეთოდოლოგიად შერჩეულ იქნა თვისებრივი კვლევა, ხოლო მიზნობრივ ჯგუფად, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც სალაპარაკო დონეზე ფლობენ ქართულ ენას და იმყოფებიან 18-დან 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში. კვლევის ფარგლებში დაიგეგმა ჩადრმავებული ინტერვიუების ჩატარება ეთნიკური უმცირესობების

წარმომადგენლებთან ზემოაღნიშნულ საკითხებზე. კვლევის ფარგლებში ასევე დაიგეგმა დისტანცირებული მეთოდით ინტერვიუების ჩატარება, რაც გულისხმობს კითხვარის ინტერნეტის მეშვეობით გადაგზავნას რესპოდენტებთან და მათგან პასუხებით დაბრუნებას.

გამომდინარე იქედან, რომ არ არსებობს ზუსტი ან მიახლოებითი მონაცემებიც კი ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის გავრცელების ან ცოდნის დონის შესახებ, ასევე შეუძლებელია წინასწარ იმ ადამიანების იდენტიფიცირება, რომლებიც შერჩევის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ამიტომ არჩევანი გაკეთდა შერჩევის განხორციელებაზე თოვლის გუნდის მეთოდით. კერძოდ, დაგეგმილია, რომ თოვლის გუნდის მეთოდით შერჩეული იქნას 5 ეთნიკურად სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქე და 5 რესპოდენტი ეთნიკურად აზერბაიჯანელი ეროვნების საქართველოს მოქალაქე. წინამდებარე კვლევაში მონაწილე ადამიანების შერჩევის აუცილებელი პირობად, მათი ეთნიკური კუთვნილების გარდა, ასევე განისაზღვრა მათი კომპაქტურ დასახლებებში ცხოვრებაც. მათთან ჩადმრავებული ინტერვიუების ჩატარება, ასევე დისტანცირებული მეთოდით მონაცემების შეგროვება დაიგეგმა სტრუქტურულიზებული ინტერვიუს მეშვეობით, რომლის ფარგლებშიც თითოეულ რესპოდენტთან დასმული იქნება ერთიდაიგივე კითხვები ერთიდაიგივე მიმდევრობით.

კითხვები ფორმულირებული იქნა შემდეგი სახით:

1. როგორ ფიქრობთ არის თუ არა საქართველოში მცხოვრები ადამიანისთვის ქართული ენის ცოდნა აუცილებელი;
2. როგორ ფიქრობთ რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს ქართული ენის არცოდნას საქართველოში მცხოვრები ადამიანისთვის;
3. რა დადებითი შედეგები მოაქვს საქართველოში მცხოვრები ადამიანისთვის ქართული ენის ცოდნას;
4. თქვენი აზრით რა დონეზე არის ქართული ენის ფლობა საკმარისი საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის;
5. როგორ ფიქრობთ რა განაპირობებს ეთნიკური უმცირესობების ინტერესს ქართული ენის შესწავლისადმი;

6. როგორ ფიქრობთ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ სტიმული მისცეს ეთნიკურ უმცირესობების დაინტერესების ზრდას ქართული ენის შესწავლისადმი;
7. დაასახელეთ რომელი სახელმწიფო პროგრამა იცით, რომელიც მიმართულია ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობისაკენ;
8. როგორ შეაფასებდით თქვენს მიერ დასახელებულ სახელმწიფო პროგრამას;
9. როგორ შეაფასებდით სახელმწიფოს ქმედებებს ამ მხრივ, რას აკეთებს და რას არ აკეთებს;
10. თქვენი აზრით თავად რა დონეზე ფლობთ ქართულ ენას? გთხოვთ შეაფასოთ 1-დან 10 ქულამდე.
11. რა ფაქტორებით არის განპირობებული თქვენს მიერ ქართული ენის ცოდნა?
12. რაში დაგეხმარათ ქართული ენის ცოდნა და თუ შეგიძლიათ დაასახელოთ რა დადებითი გავლენა მოახდინა მან თქვენს ცხოვრებაზე;
13. იცნობთ თუ არა საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც არ ფლობენ ქართულ ენას და თქვენი აზრით რით არის განპირობებული მათ მიერ ქართული ენის არცოდნა;
14. რას დაამატებდით.

ინტერვიუების ჩატარებისა და ტრანსკრიპტების მომზადების შემდეგ, მონაცემთა ანალიზის პროცესი დაგეგმილია კოდირების გზით, რის ფარგლებშიც დაგეგმილია თითოეულ შეკითხვაზე მიღებული პასუხისთვის კოდის მიწერა, მონაცემების კომპიუტერში შეყვანა, კოდების წიგნის შექმნა, კოდების შემოწმება და მონაცემების გაწმენდა.

წინამდებარე კვლევის ლიმიტი განსაზღვრულია, როგორც ასაკობრივი ჯგუფის, ასევე გეოგრაფიული არეალის და ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის შერჩევით. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

კვლევის ფარგლებში დაგეგმილია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შერჩევა მხოლოდ 18-დან 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში და იგი არ მოიცავს ეთნიკური უმცირესობების ყველა ასაკობრივ ჯგუფს. 18-25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფზე ფოკუსირება გამოწვეულია შემდეგი გარემოებით. როგორც ზემოთ

აღნიშნა, საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ქართული ენით დაინტერესების საკითხი აქტუალური გახდა საქართველოს მიერ 1991 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობის შემდეგ. მანამდე საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ერებს შორის საკომუნიკაციო ენა იყო რუსული, შემდგომ პერიოდში კი, საქართველოში სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული, რა დროსაც ეთნიკური უმცირესობების საკმაოდ დიდი ჯგუფები სალაპარაკო დონეზეც ვერ ფლობდა ქართულს, რაც გამოწვეული იყო ობიექტური რეალობით - ეგრეთწოდებული საბჭოთა მემკვიდრეობით. აღნიშნული თაობის წარმომადგენელი ადამიანები დღემდე ვერ ახერხებენ ქართული ენის საკომუნიკაციო დონემდე შესწავლას, ვინაიდან მათთვის დაბალია მოტივაცია და ინტერესი ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისა. მათში, საბჭოთა წარსულიდან გამომდინარე ნაკლებად არის განვითარებული მოქალაქეობრივი კუთვნილების შეგრძნება და საკუთარი თავის იდენტიფიცირებას სრულად ახდენენ წარმოშობის ქვეყნის მიხედვით. შესაბამისად, ისინი არ ინტერესდებიან საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური, კულტურული და საზოგადოებრივი მოვლენებით და აქედან გამომდინარე, არც ქართული ენით.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა თეორიების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების მსგავსი დამოკიდებულება უმრავლესობის ენის მიმართ მომდევნო თაობებში თანდათანობით შესაძლოა რომ შეიცვალოს. კერძოდ, „წარმოშობის ქვეყნის პოლიტიკისადმი ინტერესი, შესაძლოა მძაფრი იყოს ეთნიკური უმცირესობების პირველ თაობებში, თუმცა შემდეგ თაობებში უფრო და უფრო სუსტდება, ისინი ინტერესდებიან იმ ქვეყნის პოლიტიკით, სადაც დაიბადნენ და მიიღეს განათლება“ (Heath, Fisher, Rosenblatt, David Sanders, & Sobolewska, 2013, p. 6). სწორედ ამ თეორიიდან გამომდინარე კვლევის ფარგლებში აქცენტი გაკეთებული იქნა 18-დან 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფზე. ამ ასაკობრივ ჯგუფში მყოფი ახალგაზრდები, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, მათი წინა თაობების დროს მიღებული და დამკვიდრებული შეხედულებებისგან განსხვავებულად უნდა აღიქვამდნენ იდენტობას და მოქალაქეობრივ კუთვნილებას, რის გამოც, მიზანშეწონილი იქნა სწორედ მათზე ფოკუსირება.

კვლევას აქვს ასევე გეოგრაფიული ლიმიტი, ვინაიდან მის ფარგლებში, როგორც შემდგომში, უშუალოდ კვლევის პროცესში აღმოჩნდა, გამოკითხულნი იქნენ მხოლოდ ახალციხეში, ახალქალაქში, მარნეულსა და ბოლნისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები. ეს არის ქალაქები, სადაც ეთნიკური უმცირესობების, მითუმეტეს ახალგაზრდა თაობის ინტეგრაციის დონე შედარებით მაღალია, ამიტომ კვლევის შედეგების განვრცობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მთელს არეალზე, შესაძლოა დაკავშირებული იყოს კვლევის შედეგების არასწორ ინტერპრეტირებასთან.

კვლევის შემდგომი ლიმიტი დაკავშირებულია ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის შერჩევასთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, წინამდებარე კვლევა მთლიანად ორიენტირებულია ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ საქართველოს მოქალაქეებზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სომხებისა და აზერბაიჯანელების გარდა არაერთი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ჯგუფი ცხოვრობს. მაგალითად ისეთები როგორებიც არიან ავარები, ქისტები, ქურთები, ბერძნები და ა.შ. (Zakareishvili & Crnić-Grotić, 2016). გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის სომხები და აზერბაიჯანელები, რომელთა რაოდენობაც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით გაიზარდა (ბასილაია, 2008) ყველა სხვა ჯგუფს რიცხოვნობით ბევრად აღემატებიან, ამიტომ კვლევის ფარგლებში პრიორიტეტი მიენიჭა სწორედ ამ ორი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების დამოკიდებულების შესწავლას ქართული ენის მიმართ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვლევის შედეგების გავრცელება შესაძლებელია არა საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნიკურ უმცირესობაზე, არამედ მხოლოდ კომპაქტურად მცხოვრებ აზერბაიჯანელ და სომეხ საქართველოს მოქალაქეებზე.

ამ თეორიული ლიმიტის მიუხედავად, უშუალოდ კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ კვლევაში მონაწილე ორი ეთნიკური ჯგუფის მიერ კითხვებზე გაცემული პასუხები იყო იდენტური და ორივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები აკეთებდნენ მსგავს აქცენტებს და აღნიშნავდნენ იდენტურ პრობლემებსა და ფაქტორებს.

კიდევ ერთი სპეციფიური სახის ლიმიტი, რომელიც შესაძლოა ახასიათებდეს წინამდებარე კვლევას, მდგომარეობს მის მეთოდოლოგიაში. კერძოდ, ვინაიდან კვლევაში მოანაწილე რესპოდენტები შერჩეულნი იყვნენ თოვლის გუნდის პრინციპით, ამიტომ არის იმის ალბათობა, რომ რესპოდენტების უმრავლესობა დაახლოებით მსგავსი სოციალური წრის წარმომადგენლები აღმოჩნდებოდნენ, რაც მათ მიერ კვლევის ფარგლებში დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხების მსგავსებაზე შეიძლება ასახულიყო.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

ენობრივი დამოუკიდებლობა და ეთნიკურობა ძალზედ მნიშვნელოვანი, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთისგან განუყოფელი, ღირებულებებია, რომლებიც ღრმა ისტორიული კულტურული და რელიგიური

ფესვებიდან იღებენ სათავებს. შესაბამისად ენობრივი და ეთნიკური კუთვნილება ძალზედ სენსიტიური საკითხია, განსაკუთრებით ისეთ რელიგიურ რეგიონში, როგორც კავკასია. ენობრივი დამოუკიდებლობის შესახებ ქვემოთ მოყვანილი ციტატა ზუსტად ასახავს მის მნიშვნელობას ეთნოსისა და ზოგადად სახელმწიფოს ფორმირებაში - „ლინგვისტური დამოუკიდებლობა, სულიერი დამოუკიდებლობა და სულიერი დამოუკიდებლობის გარეშე კი შეუძლებელია არსებობდეს პოლიტიკური, კულტურული და ზოგადად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა“ (O'Reilly, 2001, p. 17).

ენა და ეთნიკურობა ღრმა კავშირშია ერთმანეთთან და არცთუ იშვიათად ერთმანეთისგან განუყოფელ მცნებებებად განიხილებიან. აღნიშნულიდან გამომდინარე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები კულტურული, ტრადიციული, რელიგიური და სხვა ფაქტორების გამო უარს აცხადებენ უმრავლესობის ენის მაღალ დონეზე შესწავლაზე, რის გამოც მათ ექმნებათ მთელი რიგი პრობლემები. მრავალეთნიკურ ქვეყნებში ქვეყნებში ხშირია შემთხვევები, როდესაც მცირეწლოვანი ბავშვი ოჯახში საუბრობს უმცირესობის ენაზე, რომელსაც ასევე იყენებს პირად ცხოვრებასა და გარშემომყოფებთან ურთიერთობაში, ხოლო სკოლაში სწავლობს და გამოცდების გავლა უწევს უმრავლესობის ენაზე, რომელიც არ ესმის. იუნესკოს კვლევების მიხედვით, მოსწავლეებისთვის, რომლებიც სხვა ენაზე საუბრობენ, სწავლების მინიმალური სტანდარტამდე მიღწევის მაჩვენებელი ბევრად დაბალია, ვიდრე იმ მოსწავლეებისთვის, რომელთა მშობლიური ენა სწავლების ენას ემთხვევა (EFA, 2013). განათლების საწყის ეტაპზევე წარმოქმნილი აღნიშნული პრობლემა, შეიძლება ითქვას, რომ არის რიგით პირველი, რომელიც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს, რომელიც საუბრობს უმცირესობის ენაზე, შეუქმნის დაბრკოლებებს ჯერ კიდევ სკოლის დაწყებით კლასებში.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, არსებობს ბევრი სხვადასხვა წარმოშობის ეთნიკური უმცირესობა, რომელიც საუბრობს მეზობელი ქვეყნების ენაზე, რაზეც ადგილობრივი მოსახლეობის არცთუ ისე მცირე ნაწილს აქვს ნეგატიური დამოკიდებულება. ამიტომაც ქვეყნები ცდილობენ შექმნან ნაციონალური ერთობა, ეროვნული ენის სავალდებულოდ დამკვიდრებით განათლების სისტემაში, სამხედრო

ძალებსა და მას მედიაში. ევროპაში რამდენიმე მაგალითია იმისა, თუ როგორ გახდა ენობრივი უმცირესობა პოლიტიკური განხეთქილების საფუძველი. ამის კლასიკური მაგალითი არის ყოფილი იუგოსლავის სახელმწიფო, სადაც, ენამ ერთერთი ცენტრალური როლი ითამაშა ეროვნული დიფერენციაციის კუთხით და საბოლოოდ მის ადგილას რამდენიმე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხების მიერ შეიქმნა ახალი სახელმწიფოები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წარსულ პერიოდში (1970 წელს) ესპანეთმა სასკოლო სწავლებიდან ამოიღო ბასკური ენა, რომელზეც საუბრობდა მილიონამდე ადამიანი. ბრიტანული პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე ინგლისური გახდა ირლანდიის ძირითადი ენა, ხოლო გველიური ენა დაიბლოკა. ირლანდიის რესპუბლიკა, ამჟამად ცდილობს რომ სავალდებულო საგნად აქციოს გველიური ენა განათლების სისტემაში, თუმცა ახალგაზრდებს აღარ აქვთ ენთუზიაზმი, ისწავლენ და ისაუბრონ ამ ენაზე, გამომდინარე იქედან, რომ ენის ფუნქცია და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა შემცირებულია (Slomp, 2011, p. 73).

იმ ქვეყნებში, სადაც ლინგვისტური უმცირესობები ცხოვრობენ (თუკი ისინი მიჩნეულნი არიან ეთნიკურ უმცირესობებადაც), ენის გამოყენების გარანტიები და უმცირესობების ენის კონკრეტული როლის დამკვიდრება ხორციელდება შიდა რეგულაციების მეშვეობით. ლიხტენშტეინის, სომხეთისა და პორტუგალიის გარდა, სადაც ლინგვისტური უმცირესობები პრაქტიკულად არ არსებობენ, თითქმის ყველა ქვეყანამ აღნიშნული საკითხი დაარეგულირა შიდა კანონმდებლობით. რუმინეთში, კონსტიტუციის მე-13 მუხლი რუმინულ ენას განსაზღვრავს რესპუბლიკის ოფიციალურ ენად. 127-ე მუხლი სამართალწამოების პროცესში ეთნიკურ უმცირესობებს, რომლებსაც არ ესმით რუმინული, ანიჭებს უფლებას თარჯიმანი იყოლიონ, რათა ითარგმნოს სამართლებრივი დოკუმენტაცია. გერმანიაშიც, გერმანულია ოფიციალური ენა და გამოიყენება საჯარო ურთიერთობებში. თუმცა უმცირესობებს აქვთ უფლება, გამოიყენონ სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საქმიანობებში თავიანთი მშობლიური ენა. ლუქსემბურგის საჰერცოგოშიც, ლუქსემბურგული ქვეყნის ოფიციალური ენაა 1984 წლიდან. ამგვარად, თითოეულ მოქალაქეს შეუძლია სახელმწიფო სამსახურებს მიმართოს ამ ენაზე. ფრანგული კი

გამოიყენება სასამართლოებისა და საჯარო სამსახურების მიერ. პირად ურთიერთობებში შეიძლება გამოიყენონ ლუქსემბურგული, ფრანგული და გერმანული საჭიროების შესაბამისად. ესპანეთში კასტილიური არის ძირითადი ენა, „სხვა ესპანური ენები“ ატარებენ ოფიციალურ სტატუსს ავტონომიურ ერთეულებში, რომელთა ავტონომიური სტატუსები, უზრუნველყოფენ „მულტი ოფიციალურ“ ენების გამოყენებას. ბელგიაში სამი ოფიციალური ენაა: ფრანგული, გერმანული და ჰოლანდიური. ისინი გამოიყენება ოფიციალურ ურთიერთობებში სახელმწიფო დეპარტამენტების, აგრეთვე სამართლებრივი სისტემებისა და სოციალურ საქმიანობაში. მსგავსად არის რეგულირებული შვეიცარიული კანონმდებლობაც, სადაც გერმანული, ფრანგული, იტალიური და რომანშული ენები კონსტიტუციით არის ნაციონალურ ენებად აღიარებული (Venice Commission, 1994, pp. 60-61). კომუნისტური ჩინეთის ეთნიკური პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები ეფუძნება ლენინიზმ-სტალინიზმს, რომელმაც დაამკვიდრა ინტერნაციონალიზმი. მარქსიზმი ხშირად განიხილავდა კულტურულ და ნაციონალურ განსხვავებულობას, როგორც დროებით გამყოფს მსოფლიო მოქალაქედ ქცევამდე. კულტურული რევოლუციის შემდეგ (1966-1976) ეთნიკური პოლიტიკა ჩინეთში იყო საზიანო და მტრულად განწყობილი რელიგიური უმცირესობის, ენობრივი უმცირესობისა და ტრადიციების მიმართ. თუმცა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, შეიქმნა კანონმდებლობა ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის მიზნით (Shibao & Zhang, 2010, გვ. 50). ჩინური სალიტერატურო ენის სტანდარტიზებული ვარიანტია ფუთონგჰუა (Pǔtōnghuà), რომელიც წარმოადგენს ყველაზე მეტად მნიშვნელოვან და გავრცელებულ საკომუნიკაციო ენას, განსაკუთრებით საქალაქო ზონებში. აქედან გამომდინარე, ჩინეთის ტერიტორიაზე გაძლიერდა ფუთონგჰუას სწავლება ეთნიკური უმცირესობების საგანმანათლებლო სისტემაში, რათა ენის ცოდნას დახმარება გაეწია მოსახლეობისთვის შრომით ბაზარზე, სამსახურის პოვნისა და უკეთესი პერსპექტივის ძიების კუთხით (Kaihua, 2013, p. 18). ჰონკონგში მცხოვრები 7 მილიონზე მეტი ადამიანიდან ნახევარი მილიონი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქალაქის მუდმივი მაცხოვრებლები არიან, მათ მაინც ვერ შეძლეს საზოგადოების უმრავლესობის შემადგენელ ნაწილად გახდომა, რაც

გამოწვეულია კულტურული განსხვავებულობით და რაც მთავარია იმ ფაქტით, რომ ჩინური მათი მშობლიური ენა არ არის. ამის შედეგად მათ ექმნებათ პრობლემები განათლებისა და დასაქმების საკითხებში, რის გამოც მათი ოჯახების დიდი ნაწილი წარმოადგენენ სოციუმის ნაკლებად შეძლებულ ფენას. ასეთი სიტუაცია არ იძლევა ჰონკონგის ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოყენების პერსპექტივას (Chorshing, 2017). ტაილანდში, სადაც 2014 წელს ჩატარდა განათლების კვლევა, გაირკვა, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვების უმრავლესობას უჭირდა მასალის შინაარსობრივი აღქმა ენის არცოდნის გამო. ტაილანდის სამხრეთ პროვინციებში მცხოვრები მოსახლეობის 83% იყენებს მალაურ ენას, ხოლო სკოლებში ოფიციალური ენაა ტაი (Phadung, Suksakulchai, & Kaewprapan, 2016, p. 1). ამასთან, აღიარებული ფაქტია, რომ ენისა და წიგნიერების პრობლემები კიდევ უფრო მწვავედება მაშინ, როდესაც სწავლების მეთოდები არ შეესაბამება უმცირესობების ცხოვრების წესსა და ტრადიციებს. მალაიზიაში ოფიციალურ ენას წარმოადგენს მალაი, თუმცა ქვეყნის მთავრობამ აღიარა ინგლისური ენის მნიშვნელობა და ინგლისური გაძიერებულად ისწავლება, როგორც მეორე ენა. ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების გამო მალაიზიაში არსებობს 2 სახის დაწყებითი სკოლები: სკოლები, სადაც სწავლა მიმდინარეობს მალაიზიურ ენაზე და სკოლები სადაც სწავლა მიმდინარეობს ჩინურ ან ტამილურ ენაზე (Ghazali, 2010).

როგორც ვხედავთ, მსოფლიოში ბევრი განსხვავებული მოდელი არსებობს იმისა, თუ როგორ ცდილობს ესა თუ ის სახელმწიფო დაარეგულიროს ეთნიკური უმცირესობების მიერ უმრავლესობის ენის არცოდნის გამო წარმოქმნილი პრობლემები. ამის მიუხედავად, აღნიშნული პრობლემა დღემდე აქტუალურია მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, ისევე როგორც საქართველოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე სხვადასხვა პერიოდში ეთნიკური უმცირესობებისა და უმრავლესობის ენობრივი ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულების შესწავლის დროს დაფიქსირებული ფაქტებისგან და დაკვირვებებისგან მიღებული გამოცდილების საშუალებით, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გამოკვეთილი ტენდენციების გაანალიზების შედეგად შესაძლებელი გახდა 5 ძირითადი ფაქტორების გამოვლენა რის გამოც ეთნიკური

უმცირესობები ინტერესდებიან და სწავლობენ უმრავლესობის ენას, როგორც მათთვის მშობლიურ ენას.

ეს ფაქტორებია:

ენის სამართლებრივი სტატუსი და ინსტიტუციები:

იმ შემთხვევაში თუ ენა ოფიციალურ დონეზე არის აღიარებული, როგორც უმცირესობის ენა, მაგრამ ენის დე იურე სტატუსი არ შეესაბამება მის დეფაქტო სტატუსს და ფუნქციას, მაშინ ამ ენაზე მოლაპარაკე უმცირესობის წარმომადგენლები თავს იგრძნობენ შეზღუდულ და ლიმიტირებულ გარემოში მცხოვრებ მოქალაქეებად. აქტიური სამოქალაქო და საზოგადოებრივი ცხოვრების შესანარჩუნებლად ან სულაც მოსაპოვებლად, ეთნიკური უმცირესობის მიერ ხდება უმრავლესობის ენის შესწავლა და შესაძლოა უმრავლესობის ენით უმცირესობის ენის ჩანაცვლებაც კი.

ენის სიმბოლური ღრებულება:

ეთნიკური უმცირესობისთვის, უმცირესობის ენა, რომელზეც ისინი საუბრობენ, ატარებს ერთგვარი ღირებულებითი ერთიანობის მნიშვნელობას, რომელიც გაიგივებულია ტრადიციასთან, კულტურასთან, რელიგიასთან და ა.შ. ის ერთგვარად ხალხურ, ფოლკლორულ ხასიათს ატარებს და ემოციურად დაკავშირებულია ძველ პერიოდთან, მაშინ როდესაც უმრავლესობის, დომინანტი ენა დაკავშირებულია თანამედროვეობასა და მომავალთან. სწორედ, მომავლისკენ სწრაფვა შესაძლოა გახდეს უმცირეობის წარმომადგენლების უმრავლესობის სალაპარაკო ენით დაინტერესების მიზეზი.

შეზღუდული ან სუსტი ფუნქციური დატვირთვა:

ეს ასპექტი ხშირად ხდება იმის მიზეზი, რომ უმცირესობის ან რეგიონალური ენობრივი ჯგუფის წარმომადგენლები, ინტერესდებიან უმრავლესობის ენის თავიანთი მშობლიური ენის დონეზე შესწავლით. უმცირესობის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათი ენა არ შეესაბამება თანამედროვეობის მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში უმცირესობის ენა განიხილება, როგორც უბრალო ეთნოკულტურული იდენტურობის განმსაზღვრელი, დატვირთული უფრო მეტად სენტიმენტალური ღირებულებებით ვიდრე ინსტრუმენტულით.

დემოგრაფიული ფაქტორი:

ეს ფაქტორი გულისხმობს ისეთ სტატისტიკურ მონაცემებს როგორებიცაა: ეთნიკურ ჯგუფში არსებულ ადამიანთა რაოდენობა, მათი რეპროდუქციული მახასიათებლები, შერეული ოჯახების რაოდენობა, ემიგრაცია და იმიგრაცია, სოციალური მობილობა. ასევე ეთნიკური ჯგუფის განსახლების არეალის მოცულობა და ამ ტერიტორიაზე მათი კონცენტრაციის დონე.

ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობების ფაქტორი:

ეს ფაქტორი დაკავშირებული არის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების თვითრეალიზაციასთან. ქვეყნებში, სადაც ეთნიკურ უმცირესობებს უმრავლესობის ენის არცოდნის გამო უჭირთ სამუშაო ადგილის მოძიება და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია, მოსალოდნელია, რომ მათი მხრიდან მოიმატებს უმრავლესობის ენისადმი ინტერესი და შესაძლოა ეტაპობრივად გადავიდნენ კიდევ უმრავლესობის სალაპარაკო ენაზე.

წარსულ პერიოდში მსგავსი პროცესები განვითარდა დიდი ბრიტანეთში, სადაც ინგლისური ენის მზარდი გამოყენების შედეგად მოხდა შოტლანდიელების, ირლანდიელებისა და უელსელების მშობლიური ენების ფუნქციის დაკნინება, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ შეინარჩუნეს ეთნიკური იდენტურობა. მშობლიური ენის რუსულით ჩანაცვლება მოხდა ინგრიელ ფინელებს შორისაც, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ ლენინგრადის ობლასტში. მიუხედავად ამისა მათაც შეძლეს კულტურული იდენტურობისა და ტრადიციების შენარჩუნება. ანალოგიური მდგომარეობაა გერმანულ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებითაც, რომლებიც ცხოვრობენ ცენტრალური და აღოსავლეთ ევროპის ისეთ ქვეყანაში, როგორებიცაა უნგრეთი, რუმინეთი, ჩეხეთი და პოლონეთი. საფრანგეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ბრეტონელებმაც განიცადეს ენობრივი ასიმილაცია ცენტრალურ საფრანგეთთან, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ შეძლეს თავიანთი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, რაც მკვეთრად გამოხატულია ტრადიციულ ბრეტონულ მუსიკაში (Schmidt, 2008).

ზემოთ მოყვანილი მაგალითებისგან განსხვავებით, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს, რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობენ სამცხე ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სასაზღვრო ქალაქებსა და სოფლებში, ახასიათებთ გამორჩეული

პრობლემატიკა და სპეციფიკა. კერძოდ ბრიტანეთში მცოხვრები ხალხებისა და ინგლისელების, რუსებისა და ფინელების, თურქებისა და ქურთების და ა.შ. შემთხვევებში, ეთნიკური უმცირესობები რეალურად რიცხოვნობით ნაკლები არიან ეთნიკურ უმრავლესობაზე არამხოლოდ მოცემული უმრავლესობის ქვეყანაში, არამედ, ზოგადად ისინი საერთოდაც ნაკლებნი არიან რიცხოვნობით. მაგალითად ინგლისელები აღმატებიან რიცხოვნობით ირლანდიელებს, შოტლანდიელებს და უელსელებსაც. რუსები მოსახლეობის რაოდენობით აღმატებიან ფინელებს, ფრანგები ბრეტონელებს, თურქები ქურთებს და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რიცხოვნობით დომინანტი და უფრო მძლავრი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური უპირატესობის მქონე უმრავლესობა ახდენს უმცირესობის თავისი ენობრივი ჯგუფისკენ გადახრას. საქართველოს შემთხვევაში კი, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცოხვრები ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, რბილად რომ ვთქვათ, საქართველოზე არანაკლები მოცულობის ეკონომიკისა და მოსახლეობის რიცხოვნობის მქონე აზერბაიჯანისა და სომხეთის სასაზღვრო დასახლებულ პუნქტებში. აქედან გამომდინარე საქართველოსთვის ძნელია, თავისი ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების მასშტაბებიდან გამომდინარე, რომ გახდეს ზემოხსენებული ეთნიკური უმცირესობებისთვის გამორჩეული მიზიდულობის მქონე ქვეყანა, რითაც მოახდენდა მათ დაინტერესებას ქართული ენის მიმართ. აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვნად ართულებს ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების ინტეგრაციის პროცესს.

ქართული ენის პოპულარიზაცია ეთნიკურ უმცირესობის წარმომადგენლებს შორის, საქართველოს მთავრობისათვის 90-იანი წლების პერიოდიდან მოყოლებული, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო და დღეს ის უმცირესობათა მიმართ არსებული პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველოში ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის მთავარ ბარიერად სახელმწიფო ენის არცოდნა მიიჩნეოდა და მიიჩნევა დღევანდელ დღესაც. სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ენობრივი ბარიერის აღმოსაფხვრელად სხვადასხვა დონეზე არაერთი პროგრამები განხორციელდა, რომელებიც ზემოთ დაწვრილებით იქნა აღწერილი.

ამჟამად, მიუხედავად პრობლემის არსებობისა და ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონისა, ბოლო წლების განმავლობაში, ზოგადი დამოკიდებულება ქართული ენის შესწავლის მიმართ, უფრო პოზიტიური გახდა. ახალი თაობა დამატებით ღირებულებად მიიჩნევს სახელმწიფო ენის ცოდნას. მათთვის ქართული ენის ცოდნა თვითრეალიზაციის არაერთი დამატებითი შესაძლებლობის მომტანია, მაგალითისთვის, დასაქმების უკეთესი პერსპექტივა, სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობა, სოციალური სერვისების მიღების მეტი შესაძლებლობა, ქვეყნის მოსახლეობასთან სრულფასოვანი კომუნიკაციის უნარი, გაუცხოვების შეგრძნების შემცირება, სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და მათში ჩართვის შესაძლებლობა და ა.შ.

3. კვლევის შედეგები

როგორც ზემოთ აღინიშნა, თემის სპეციფიკის, მიზნისა და ამოცანისგან გამომდინარე, კვლევის მეთოდოლოგიად შერჩეულ იქნა თვისებრივი კვლევა, მიზნობრივ ჯგუფად კი 18-დან 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მყოფი სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რომლებიც სალაპარაკო დონეზე ფლობენ ქართულ ენას. კვლევის ფარგლებში, თოვლის გუნდის პრინციპით შერჩეული იქნა 2 ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქე ქალაქი ახალციხედან და 4 ეთნიკურად აზერბაიჯანელი

საქართველოს მოქალაქე ქალაქი მარნეულიდან. რომლებთანაც ჩატარებულ იქნა ჩაღრმავებული ინტერვიუები. გამომდინარე იქედან, რომ რესპოდენტები შერჩეულნი იყვნენ თოვლის გუნდის პრინციპით, ამიტომ მათ ჰქონდათ გარკვეული წარმოდგენა თუ ვისთან აპირებდნენ ინტერვიუს მიცემას, ისევე, როგორც კვლევის ავტორს ჰქონდა წარმოდგენა, თუ ვისგან მოუწევდა ინტერვიუს აღება, ამ ფაქტორიდან გამომდინარე, ინტერვიუების დასაწყისში არ ყოფილა რაიმე განსაკუთრებული მეთოდების გამოყენება საჭირო რესპოდენტის „ნდობის მოსაპოვებლად“. ინტერვიუები ჩატარებულ იქნა პირისპირ, იზოლირებულ ოთახში, საქმიან და მაქსიმალურად მეგობრულ გარემოში.

კვლევის ფარგლებში, ასევე განხორციელდა ინტერვიუების დისტანცირებულად ჩატარება 3 ეთნიკურად სომეხ საქართველოს მოქალაქესთან, რომელთაგან 2 აღმოჩნდა ახალქალაქში და 1 ახალციხეში მაცხოვრებელი. იმავე მეთოდით იქნა ჩატარებული ინტერვიუ ერთ ეთნიკურად აზერბაიჯანელ საქართველოს მოქალაქესთან, რომელიც ცხოვრობდა ქალაქ ბოლნისში. ინტერვიუების დისტანცირებულად ჩატარება მოიცავდა შემდეგ პროცედურას. პირველ რიგში, თოვლის გუნდის პრინციპით, მოხდა დაკავშირება პოტენციურ რესპოდენტთან. მათთან სოციალური ქსელების მეშვეობით გასაუბრების შემდეგ კი, მოხდა მათთვის იმავე სტრუქტურული კითხვარის გადაგზავნა, რომლითაც ჩატარებული იქნა ზემოთ აღნიშნული ჩაღრმავებული ინტერვიუები. რესპოდენტების მიერ, დასმულ შეკითხვებზე მოხდა შესაბამისი პასუხების მიწერა, რის შემდეგაც იმავე საშუალებით გადმოგზავნილ იქნა უკან. იქედან გამომდინარე, რომ კვლევა ფოკუსირებული იყო ახალგაზრდა თაობაზე 18 წლიდან 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, ამიტომ სოციალური ქსელის მეშვეობით, დისტანცირებულად ინტერვიუს ჩატარების დროს არ შექმნილია რაიმე სახის დაბრკოლება, რაც საერთო ჯამში გავლენას იქონიებდა კვლევის საბოლოო შედეგებზე. პირისპირ ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და კითხვარის ელექტრონულად გადაგზავნის მეთოდებით, საერთო ჯამში, კვლევის ფარგლებში განხორციელდა 5 ეთნიკურად სომეხი და 5 ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქის გამოკითხვა, რომლებიც ცხოვრობდნენ ქალაქებში ბოლნისი, მარნეული, ახალციხე და ახალქალაქი, სტრუქტურული კითხვარის მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში ინტერვიუს ჩატარების ორი განსხვავებული მეთოდის გამოყენების მიუხედავად, რესპოდენტთა პასუხები, მიუხედავად იმისა თუ როგორი ფორმით მოხვდა მათ მიერ კითხვებზე პასუხის გაცემა, ჩაღრმავებული ინტერვიუს მეშვეობით, თუ კითხვარის შევსებით, არ იყო მნიშვნელოვნად განსხვავებული ერთმანეთისგან. ერთადერთი განსხვავება, რაც შეინიშნებოდა იყო კონკრეტულობა. კერძოდ, თუ ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს რესპოდენტი ხანგრძლივი წინადადებების მეშვეობით გადმოსცემდა საკუთარ აზრს, კითხვარის შევსების შემთხვევაში რესპოდენტი იძლეოდა უფრო მოკლე და კონკრეტულ პასუხებს. ასევე აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა პასუხებში განსხვავებული ტენდენციები არ შეინიშნებოდა არც ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილების მიხედვით. ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი რესპოდენტები, კვლევის ფარგლებში დასმულ შეკითხვებზე მსგავს პასუხებს სცემდნენ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის შედეგების ანალიზის ეტაპზე, კვლევაში მონაწილე პირთა მიერ კითხვებზე გაცემული პასუხების ეთნიკურ ჯგუფებად დაყოფის საჭიროება დღის წესრიგში არ დამდგარა.

კვლევაში მონაწილე პირთაგან 5 აღმოჩნდა დასაქმებული სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, სადაც ამ ადამიანებმა სამსახურიდან გამომდინარე, თანამშრომლებთან ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობისა და სამსახურებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე შეძლეს ქართული ენის ათვისება. კვლევაში მონაწილე 4 რესპოდენტი აღმოჩნდა სტუდენტი, 1 რესპოდენტი კი აბიტურიენტი. კვლევის შედეგების მიხედვით, მონაწილეთა გენდერული გადანაწილება აღმოჩნდა შემდეგნაირი: 7 მამაკაცი და 3 ქალი.

კითხვაზე „არის თუ არა საქართველოში მცხოვრები ადამიანისთვის ქართული ენის ცოდნა აუცილებელი“, ყველა რესპოდენტმა გასცა დადებითი პასუხი. რამდენიმე მათგანმა კი, აღნიშნა, რომ ქართული ენის ცოდნა აუცილებელი არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი მიისწრაფვის პიროვნული და პროფესიული განვითარებისკენ, სურს სამსახურის მოძებნა, თვითრეალიზაცია და სრულფასოვანი ურთიერთობების დამყარება ეთნიკური უმცირესობების კომფაქტურ დასახელებებს მიღმა მცხოვრებ მოსახლეობასთან. იმ შემთხვევაში, თუ ეთნიკური უმცირესობის

წარმომადგენელს არ აქვს პროფესიული განვითარების, სწავლის ან დასაქმების სურვილი, მაშინ მისთვის აუცილებელი სულაც არ არის ქართული სწავლა, რადგანაც ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და გარშემომყოფებს ისედაც მშობლიურ ენაზე ესაუბრება: „ მე მყავს ნათესავი, მწყემსი ბიჭია, არ იცის ქართული, არ სჭირდება, იმიტომ რომ იქ ქართულად არავინ არ ლაპარაკობს, არც სწავლობს სადმე და არ სჭირდება ქართული“ - ერთერთი რესპოდენტის მიერ გაცემული პასუხი ზუსტად ასახავს ზემოთ აღნიშნულ მოცემულობას.

კითხვარში მოცემულ მეორე და მესამე შეკითხვებზე რესპოდენტები ხაზს უსმევენ, რომ ქართული ენის ცოდნა აუცილებელად მიაჩნიათ, თუმცა მათ ირგვლივ არსებობენ ხალხი, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები, ცხოვრობენ მათ მეზობლად და არ იციან ქართული ენა, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ ადამიანების ოჯახის წევრები ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან მეზობელ ქვეყნებში, საიდანაც აგზავნიან მათი ოჯახისთვის საჭირო ხარჯების დასაფარ თანხას, აქ დარჩენილი ოჯახის წევრები კი, უმეტესად ქალები, ასაკოვანი ადამიანები და მცირეწლოვანი ბავშვები დაკავებულნი არიან შინამეურნეობებით, მეცხოველეობითა და მიწათმოქმედებით. აქედან გამომდინარე, მსგავს ოჯახებში არც საზღვარგარეთ დასაქმებული ადამიანთათვის და არც საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი ოჯახის წევრებისთვის აქტუალური არ არის ქართული ენის ცოდნა, ვინაიდან მათი ქვეყანაში ინტერგაციის დონე მიზერულია. შესაბამისად, მათთვის ქართული ენის ცოდნა ან არცოდნა რეალურად არაფრის მომცემი არ არის.

კითხვაზე, თუ რა დონეზე არის ართული ენის ფლობა საკმარისი საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის, მხოლოდ 2-მა რესპოდენტმა გააკეთა აქცენტი ქართულად სრულყოფილად წერასა დაკითხვაზე. დანარჩენებმა კი, საქართველოში მცხოვრები ადამიანის სრულად ინტეგრაციისთვის გამართულად მეტყველების შესაძლებლობაც საკმარისად ჩათვალეს.

ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართული ენით დაინტერესების მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად დასახელებული იქნა სწავლა და დასაქმება, ასევე თვითრეალიზაცია და ქვეყანაში მცხოვრებ უმრავლესობასთან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა. „მე რომ ქართული არ ვიცოდე ვერ ვიმუშავებდი“;

„უნივერსიტეტში სწავლება დამეხმარება, რომ სამსახური ვიშოვო“; ჩემს კურსელებთან მინდა რომ კარგად ვილაპარაკო“. რესპოდენტების მიერ ნათქვამი ყველა ეს ფრაზა ნათლად ასახავს მათ მისწრაფებებს, რომელთა მიღწევასა და რეალიზებაში, მათი აზრით, ქართული ენის ცოდნა გაუწევთ მნიშვნელოვან დახმარებას.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული სხვადასხვა ღონისძიებების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ კვლევაში მონაწილე ეთნიკურ უმცირესობებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ, რის გამოც, სავარაუდოა, რომ ზოგადად, ამ პროგრამების ეფექტურობა არცთუ მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო, როგორც ზემოთ აღნიშნა არაერთი მიმართულებით ცდილობს ქართული ენის პოპულარიზაციასა და აქტუალიზაციას, ეთნიკურ უმცირესობებს შორის, ინტერვიუების დროს ვერც ერთმა რესპოდენტმა ვერ შეძლო იმის თქმა, თუ რას აკეთებს, რა პროგრამებს ახორციელებს სახელმწიფო კონკრეტულად ქართული ენის სწავლების ხელშეწყობისთვის:

„სიმართლე რომ გითხრათ არ ვიცი რას აკეთებს სახელმწიფო ამ მხრივ, არ მომისმენია არაფერი, შეიძლება არის რაღაც მაგრამ ჩემზე არ მოვიდა ეგ ჯერ“. ერთადერთი პროგრამა რომლის დასახელებაც რესპოდენტთა უმრავლესობამ, კონკრეტულად კი 7-მა შეძლო, იყო ეგრეთწოდებული „1 + 4 საგანმანათლებლო პროგრამა“. იმ 7 რესპოდენტიდან კი, რომლებაც სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებში დაასახელა „1 + 4 საგანმანათლებლო პროგრამა“, 4 მათგანი ამ პროგრამის მონაწილე სტუდენტია, 1 აბიტურიენტი, 2-კი საჯარო სექტორში დასაქმებული, ისეთ პოზიციებზე, სადაც უმაღლესი განათლება არ წარმოადგენდა აუცილებელ მოთხოვნას.

გამოკითხულ რესპოდენტებს შორის სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ ასეთი დაბალი ინფორმირებულობა პირდაპირ მიუთითებს ამ პროგრამების დაბალ ეფექტურობაზე. რადგან არ შეიძლება, რომ წარმატებული პროგრამის შესახებ მოსახლეობას აარ ჰქონდეს ზოგადი სახის ინფორმაცია კი. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ 18-დან 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მყოფმა ახალგაზრდებმა, რომლებიც ასაკიდან გამომდინარე ყველაზე მეტად უნდა იყვნენ ინფორმირებულები და

დაინტერესებულები მსგავსი პროგრამების არსებობით და მათში მონაწილეობის მიღებით.

შვიდივე რესპოდენტმა, რომლებმაც შეძლეს სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებში „1 + 4 საგანმანათლებლო პროგრამის“ დასახელება, დადებითად მოახდინა მისი შეაფასება. როგორც აღინიშნა ამ შვიდი ადამიანიდან 4 აღმოჩნდა ამავე პროგრამის მინაწილე სტუდენტი, 1 კი აბიტურიენტი, რომელიც 2019 წელს აპირებს ეროვნული გამოცდების ჩაბარებას მშობლიურ ენაზე და მათი წარმატებით დაძლევის შემდეგ პროგრამაში უშუალოდ ჩართვას.

აღსანიშნავია, რომ ყველა გამოკითხული ადამიანი საკმაოდ კრიტიკული აღმოჩნდა საკუთარი თავის მიმართ და 10 ქულიანი სისტემით, მათ მიერ ქართული ენის ცოდნის დონე არ შეუფასებიათ 8 ქულაზე მეტად, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მათგანი თავისუფლად საუბრობდა ქართულ ენაზე. ამ მხრივ კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა. კერძოდ, გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტთაგან ქართული ენის ცოდნის დონე თავადვე უფრო მაღალ დონეზე იქნა შეფასებული სხვადასხვა ორგანიზაციებში დასაქმებულთა მიერ, რომელთა საშუალო მაჩვენებელი აღმოჩნდა 7 ქულა. ხოლო სტუდენტი და აბიტურიენტი რესპოდენტების მიერ ქართული ენის ცოდნა შეაფასებული იქნა უფრო დაბალ დონეზე და მათი საშუალო მაჩვენებელი აღმოჩნდა 6 ქულა. აღნიშნული ტენდენცია კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ენის შესწავლის საკითხში სოციალური კაპიტალი და ყოველდღიური ურთიერთობები უფრო ეფექტურია ვიდრე სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო თუ სხვა პროგრამები. საინტერესოა, რომ წინამდებარე კვლევის მიხედვით, ყველაზე ცნობადი და აქტუალური სახელმწიფო პროგრამა „1+4“-ში მონაწილე სტუდენტებიც, კი უფრო ნაკლებად თავადაჯერებულები არიან ქართული ენის ცოდნასა და უმრავლესობასთან ინტერგაციის საკითხში, ვიდრე ისინი, ვინც ყოველდღიური „უბრალო“ ურთიერთობების დონეზე სწავლობს ქართულ ენას.

საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა ასევე იმ მხრივ, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ აქვთ ჩამოყალიბებული შეხედულებები თუ რა აქტივობები უნდა გაატაროს სახელმწიფომ ქართული ენის პოპულარიზაციისთვის.

კითხვაზე „რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ სტიმული მისცეს ეთნიკურ უმცირესობების დაინტერესების ზრდას ქართული ენისადმი“, არცერთ რესპოდენტს არ ჰქონდა პასუხი. მათი აზრით ენის შემსწავლელი კურსები, თუნდაც სრულიად უფასო, ნაკლებად საინტერესოა მოსახლეობისთვის, რადგან იქ სწავლა მოითხოვს დამატებით დროს, როგორც უშუალოდ მეცადინეობებზე დასასწრებად, ასევე გზისთვის და სახლში, უკვე მიღებული დავალებების შესრულებას. რის გამოც, ასეთი ენის კურსების გახსნა ნაკლებად მიმზიდველია მათთვის: „არვიცი, კურსებზეც არ წავლენ, იქით რომ გადაუხადო ფული შეიძლება წავლენ“, ნახევრად ხუმრობით დააფიქსირა საკუთარი აზრი ერთერთმა რესპოდენტმა.

კვლევის ფარგლებში შერჩევაში მონაწილე რესპოდენტთათვის დასმული კიდევ ერთ საინტერესო შეკითხვაზე, თუ რა ფაქტორებით იყო განპირობებული, მათ მიერ ქართული ენის ცოდნა, დაფიქსირებული იქნა შემდეგი პასუხები: „რაც დონემდე ვიცოდი, მაგრამ როცა მუშაობა დავიწყე 19 წლის ვიყავი და მომიწია უფრო კარგად შესწავლა“; „პირველ რიგში იყო სამსახური, მერე უკვე ჩვეულებრივი ლაპარაკის კომპლექსების მოხსნა. ვიძაბებოდი რომ ვერ ვპასუხობდი რაც მინდოდა. დავიწყე პრაქტიკა, კომპლექსები მქონდა რა თქმა უნდა, როცა არასწორად ვლაპარაკობდი, მაგრამ ეხლაც არ ვიცი იდეალურად ქართული, მაგრამ მიჩვევნია არასწორ ქართულზე ვუპასუხო ვიდრე რუსულად“; „მეზობლები მყავდა ქართველები, თანატოლები და ერთად გავიზარდეთ, იმათგან ვისწავლე ქართული, მერე უკვე თბილისში გადავედი სასწავლებლად და იქ უფრო კარგად ვისწავლე“. მითითებულ კითხვაზე, კვლევაში მონაწილე ყველა რესპოდენტს ჰქონდა მსგავსი პასუხები. კერძოდ, პასუხები გაიყო შემდეგი მიმართულებებად: მათი ნაწილი გარკვეულ დონეზე ფლობდა ქართულს და შემდეგ სამუშაოს დაწყების დროს, საქმიანი და სამუშაო ურთოერთობების გამო, „მოუწია“ ენის უკეთ ათვისება, მეორე ნაწილი ასევე ფლობდა ქართულს გარკვეულ დონეზე და სწავლის უნივერსიტეტში გაგრძელების შემდეგ, საჭიროებიდან გამომდინარე უფრო მაღალ დონეზე შეძლო ქართული ენის დაუფლება. საინტერესოა, რომ არცერთი მათგანი არ თვლის თავს ქართულად სრულყოფილად მოლაპარაკეს და არც სრულფასოვნად ინტეგრირებულად, მაგრამ კმაყოფილები არიან, რომ გარკვეულ დონეზე მოახერხეს ქართული ენის შესწავლა. „როცა რაცა საშუალო დონეზე

ვისწავლე სასაუბრო ქართული, უკვე შემიძლია ნებისმიერ ადამიანს ქუჩაში ვკითხო რაც მაინტერესებს, ავუხსნა რაც ვფიქრობ ასე თუ ისე. შემიძლია ვიპოვო ნებისმიერი სამსახური და ვისწავლო აქაც უკვე ქართულ ენაზე“; „არ ვთვლი რო ვარ ინტეგრირებული ბოლომდე. ჩემი აზრით სრული ინტეგრაციისთვის უნდა ფიქრობდე ქართულად და არა გადათარგმნო თავში შენ ენიდან ქართულზე“. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ამ ციტატებიდან ნათლად ჩანს ის ფაქტი, რომ ეთნიკურ უმცირესობებს, მათაც კი, ვინც ქართული ენა სალაპარაკო დონეზე იციან, უჭირთ უმრავლესობასთან ინტეგრაცია და ერთგვარად შეზღუდულ გარემოში უწევთ ცხოვრება. მიუხედავად ამისა გამოკითხული 10 რესპოდენტისგან ათივე თვლის, რომ ქართული ენის სწავლა არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელიც კი არის - „ქართული ენის არ ცოდნა როცა ცხოვრობ საქართველოში არის არასწორი. უნდა პატივი სცე ქვეყანას და ხალხს სადაც ცხოვრობ და შეეცადო ელემენტარული სასაუბრო დონის შესწავლა, და ყველაზე ადვილი სწავლა არის პრაქტიკა. არ უნდა გრცხვენოდეს როცა არ გამოგდის, ქართული ენაა ცოტა სპეციფიურია და როცა არასწორად ლაპარაკობ ცოტა სასაცილოდ ჟღერს. მთავარი არის რომ ცდილობ.“

4. კვლევის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები და ტენდენციები

ნაშრომის ამ ნაწილში შეჯამებულ იქნება ყველა ის ტენდენცია და მიგნება, რომელიც დაფიქსირებული და გამოკვეთილი იქნა კვლევის პროცესში, მონაცემების შეგროვებასა და მათი ანალიზის ეტაპებზე.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, კვლევაში მონაწილე 2 ეთნიკური ჯგუფის მიერ, დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები არ იყო ერთმანეთისგან განსხვავებული იმდაგვარად, რომ მათი განალიზების შემდეგ მიღებული ტენდენციების ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილების მიხედვით დაყოფა ყოფილიყო აუცილებელი. ორივე ეთნიკური ჯგუფი აქცენტს აკეთებდა მსგავს ფაქტორებსა და ტენდენციებზე. ისინი აქცენტს აკეთებდნენ მსგავსი სახის პრობლემებსა და მისწრაფებებზე.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ კვლევის დასაწყისში არსებული დაშვება სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართული ენის შესწავლის განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ, ნაწილობრივ გამართლდა. კერძოდ, კვლევის საწყის ეტაპზე დაფიქსირებული იყო დაშვება, რომ კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის შესწავლის მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორი არის ეკონომიკური ურთიერთობები. უშუალოდ კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად დაფიქსირდა ფაქტორების უფრო ფართო სპექტრი. სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიერ გამოკვეთილი იქნა ქართული ენის მიმართ დაინტერესების ზრდის განმაპირობებელი 3 ძირითადი ფაქტორი:

1. **დასაქმება და თვითრეალიზაცია.** გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ქართული ენის დაუფლების შემდეგ ისინი ბევრად უფრო ადვილად შეძლებენ სამსახურის შოვნას. როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევის ფარგლებში გამოკითხული 10 რესპოდენტიდან 5 ადამიანი აღმოჩნდა საჯარო სექტორში დასაქმებული. აღნიშნული პირებიც ქართული ენის ცოდნას უკავშირებენ დასაქმებას და აღნიშნავენ, რომ ქართული ენის ცოდნის გარეშე თავადაც ვერ შეძლებდნენ შრომით მოწყობის საკითხის დადებითად გადაწყვეტას. მათი წარმოდგენები ამჟამინდელ სამსახურში წინსვლასა და ზოგადად თვითრეალიზაციასთან დაკავშირებით პირდაპირ უკავშირდება ქართული ენის ცოდნის გაღრმავებასა და აქედან გამომდინარე უმრავლესობასთან გაუცხოებისა და იზოლირების განცდის შემცირებას.

2. **სწავლის გაგრძელება.** კვლევის ფარგლებში გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ქართული ენის სწავლების ერთ-ერთ მასტიმულირებელ ფაქტორად ასახელებენ სწავლის უმაღლეს საფეხურზე, უნივერსიტეტში გაგრძელების სურვილს. აღნიშნული ფაქტორი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალგაზრდა თაობაში ქართული ენით დაინტერესების ზრდის საკითხში და დასაქმების პერსპექტივასთან ერთად ქართული ენის შესწავლის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტორი პირდაპირ კავშირშია „1 + 4

საგანმანათლებლო პროგრამასთან“, რის გამოც ეს პროგრამა დასახელებული და დადებითად დახასიათებული იქნა კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპოდენტების უმეტესობის მიერ.

3. ქართული ენის შესწავლის მასტიმულირებელ მესამე მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელებულ იქნა სოციალური კაპიტალის დაგროვება, ეთნიკურ ქართველებთან ურთიერთობა, ახალი კავშირებისა და მეგობრების შექმნის სურვილი, ასევე უნდობლობისა და მეორეხარისხოვანი მოქალაქედ ყოფნის განცდის შემსუბუქება. აღსანიშნავია, რომ თითოეულ გამოკითხულ რესპოდენტს გათვითცნობიერებული აქვს ქართული ენის ცოდნის მნიშვნელობა და მიიჩნევენ, რომ რაც შეიძლება მეტმა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა ადამიანმა უნდა ისწავლოს ქართული, რაც პირველ რიგში მათთვისვე იქნება სოციალური დივიდენდების მომტანი, რაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს გაუცხოებისა და უნდობლობის ფაქტორს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ წინამდებარე კვლევის ძირითად შეკითხვაზე, რომელიც ფორმულირებული იქნა შემდეგნაირად - „რა ფაქტორები განაპირობებს ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტერესს ქართული ენის შესწავლის მიმართ“ წინასწარ არსებული დაშვება, რომ კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობებისთვის ქართული ენის შესწავლის მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორი არის ეკონომიკური ურთიერთობები, გამართლდა. ოღონდ მას კიდევ დაემატა 2 ფაქტორი: უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილი და სოციალური კაპიტალის დაგროვება. როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველი (დასაქმება) და მეორე (უნივერსიტეტში სწავლა) ფაქტორები რესპოდენტების მიერ უფრო მნიშვნელოვნად იქნა დასახელებული, მაგრამ შესაძლოა, რომ რეალურად მესამე ფაქტორიც (სოციალური კაპიტალის დაგროვება) არანაკლებ მნიშვნელოვანი იყოს წინა ორ ფაქტორზე, მაგრამ საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე რესპოდენტებმა ინტერვიუების დროს თავი შეიკავეს მასზე აქცენტის გაკეთებისგან.

წინამდებარე კვლევის მეორე შეკითხვასთან დაკავშირებით, რომელიც ფორმულირებული იყო შემდეგნაირად - „რამდენად ინფორმირებულები არიან

ეთნიკური უმცირესობები და რა დამოკიდებულება აქვთ სახელმწიფოს მიერ ქართული ენის პოპულარიზაციისთვის განხორციელებული ქმედებების მიმართ.“ და რომელთან დაკავშირებით არსებობდა შემდეგი დაშვება - „სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა პერიოდებში გატარებული ღონისძიებები და პროგრამები რომლებიც მიმართული არის ქართული ენის სწავლების მიმართ ეთნიკური უმცირესობების დაინტერესების ზრდისკენ არის ნაკლებად ეფექტური, ვინაიდან მათში ჩართვა და მონაწილეობის მიღება დაკავშირებული არის რთული პროცედურების გავლასთან ან არ შეესაბამება ეთნიკური უმცირესობების ცხოვრების წესსა და ტრადიციებს, რის გამოც უმცირესობის წარმომადგენლები თავს იკავებენ ამ პროგრამებსა და აქტივობებში ჩრთვისაგან“, შეიძლება ითქვას, რომ მიღებული შედეგების მიხედვით, არსებული რეალობა აღმოჩნდა მნიშვნელოვნად განსხვავებული.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული 10 რესპოდენტიდან 3-მა რესპოდენტმა საერთოდ ვერ შეძლო ქართული ენის შესწავლის ხელშესაწყობდ სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებისა და პროგრამების დასახელება, 7-მა მათგანმა კი დაასახელა მხოლოდ „1 + 4 საგანმანათლებლო პროგრამა. აღსანიშნავია, რომ ამ შვიდიდან 4 იყო აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, 1 კი აბიტურიენტი. მიღებული რეალობა პირდაპირ მიუთითებს, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებისა და პროგრამების, რომლებიც მიმართული არის ქართული ენის სწავლების მიმართ ეთნიკური უმცირესობების დაინტერესების ზრდისკენ, დაბალი ეფექტურობის მთავარი პრობლემა არის მოსახლეობის ნაკლების ინფორმირებულობა თავად ამ პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ. რაც შეეხება დამოკიდებულებას, ეთნიკური უმცირესობები ცალსახად დადებითად აფასებენ იმ პროგრამას, რომლის შესახებაც ფლობენ ინფორმაციას, იგულისხმება „1 + 4 საგანმანათლებლო პროგრამა“. რომელიც მიმდინარე კვლევიდან გამომდინარე შესაძლოა მივიჩნიოთ ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართული ენის შესწავლის მასტიმულირებელ ყველაზე ეფექტურ პროგრამად.

კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი 5 ფაქტორიდან, რომელთა არსებობის შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ენობრივი ჯგუფები ინტერესდებიან უმრავლესობის ენის მშობლიური ენის დონეზე შესწავლით, სამცხე-

ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის ასეთი ფაქტორი აღმოჩნდა ბოლო, მეხუთე ფაქტორი, რომელიც მდგომარეობდა ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობების გაზრდის პერსპექტივაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სახელმწიფოსგან ელიან მეტ ყურადღებასა და ხელშეწყობას ქართული ენის შესწავლისა და მათი ქვეყანაში ინტეგრაციის პროცესის საკითხში, თუმცა არ აქვთ ჩამოყალიბებული მოსაზრება და წინადადებები კონკრეტულად რა ღონისძიებები უნდა გაატაროს სახელმწიფომ ამ მხრივ უფრო მეტი ეფექტის მისაღებად.

5. დასკვნა

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები ხასიათდებიან ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის დაბალი დონით, რისი მთავარ მიზეზსაც წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დაბალი მაჩვენებელი.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, თვისებრივი კვლევის თეორიული ჩარჩოს გამოყენებით, სტრუქტურიზებული კითხვარის საფუძველზე განხორციელდა 18-დან 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მყოფი და ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები 5 ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქის და 5 ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქის გამოკითხვა. კვლევის მიზანი იყო იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც პოზიტიურ გავლენას ახდენენ კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების განწყობებზე ქართული ენის შესწავლის მიმართ. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, ასევე განხორციელდა კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების განწყობების შესწავლა

სახელმწიფოს მიერ ქართული ენის შესწავლის ხელის შეწყობი პროგრამებისა და ღონისძიებების მიმართ.

კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა სამი ძირითადი ფაქტორი, რომლებიც პოზიტიურ გავლენას ახდენენ ეთნიკურ უმცირესობებზე ქართული ენის შესწავლის საკითხში. გამოვლენილი ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დასაქმება. კერძოდ უმცირესობის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ქართული ენის ცოდნა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევთ მათ შრომითი მოწყობის საკითხში. მეორე გამოვლენილი ფაქტორი არის სწავლის უნივერსიტეტში, ქართულენოვან ფაკულტეტებზე გაგრძელების სურვილი. მესამე ფაქტორი კი სოციალური კაპიტალის დაგორვება. საბოლოო ჯამში, წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი 5 ძირითადი ფაქტორიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ უმცირესობების მიერ უმრავლესობის ენით დაინტერესებაზე, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში კომპაქტურად მცოხვრებ ეთნიკურ უმცირესობების ქართული ენით დაინტერესების მიზეზი არის „ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობების ფაქტორი“, რომელიც შედგება ზუსტად იმ ფაქტორებისგან რომლებზეც ყურადღებას ამახვილებდნენ კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპოდენტები.

რაც შეეხება კვლევის მეორე შეკითხვას, აღმოჩნდა, რომ ეთნიკური უმცირესობები ნაკლებად არიან ინფორმირებულები სახელმწიფოს მიერ ქართული ენის შესწავლის ხელშესაწყობად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ. მათ მიერ დასახელებული იქნა მხოლოდ „1 + 4 საგანმანათლებლო პროგრამა“.

ასევე აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები დადებითად არიან განწყობილნი სახელმწიფოს ინიციატივების მიმართ და აქვთ მეტ ყურადღებისა და ხელშეწყობის მოლოდინი ქართული ენის შესწავლისა და მათი ქვეყანაში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის საკითხში, თუმცა არ აქვთ კონკრეტული წინადადებები და მოსაზრებები თუ როგორ უნდა მოახდინოს სახელმწიფომ აღნიშნული პროცესის სტიმულირება.

6. გამოყენებული ლიტერატურა

- Catalog.edu.ge. (2012). *საგანმანათლებლო დაწესებულებების კატალოგი*. Retrieved ივნისი 25, 2019, from Catalog.edu.ge: <http://catalog.edu.ge/index.php>
- Chor-shing, D. L. (2017, March 31). *Govt should help ethnic minorities overcome language barrier*. Retrieved from EjinSight : <http://www.ejinSight.com/20170329-govt-should-help-ethnic-minorities-overcome-language-barrier/>
- Dongera, R. V. (2017). *Research for CULT Committee – Minority languages and education: best practices and pitfalls*. European Union. Retrieved from [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/585915/IPOL_STU\(2017\)585915_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/585915/IPOL_STU(2017)585915_EN.pdf)
- EFA. (2013). *Children need to be taught in a language they understand*. UN educational scientific and cultural organization (UNESCO). Retrieved from http://www.unesco.org/new/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/ED/GMR/pdf/language_factsheet.pdf
- Geostat. (2019). *მოსახლეობა და დემოგრაფია*. Retrieved ივნისი 2019, from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>
- Ghazali, K. (2010). National Identity and Minority Languages. *UNChronicle*, 47(3), 1-5.
- Grimheden, J., & Ring, R. (2006). *Human rights law : from dissemination to application, essays in honour of Göran Melander*. Martinus Nijhoff Publishers.
- Heath, A., Fisher, S., Rosenblatt, G., David Sanders, D., & Sobolewska, M. (2013). *The Political Integration of Ethnic Minorities in Britain*. Oxford : Oxford University Press.
- ISSA. (2011). *ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების*. თბილისი: სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი .

- Jenkins, O. B. (2013, January 10). *Dialects, Languages and Ethnicity* . Retrieved from Orville Jenkins Thoughts and Resources:
<http://orvillejenkins.com/languages/dialectslangsethnicity.html>
- Kaihua, L. (2013). On English Language Education for Ethnic Minority Students in China: A Focus on Two Groups of Uyghur University Students in Xinjiang. *Master thesis*, 18. University of Oslo.
- Melikishvili, L., & Jalabadze, N. (2015). Language and Ethnic Boundaries in Multiethnic Georgia. In D. Zinkhahn , K. Jungbluth, & P. Rosenberg, *Linguistic Construction of Ethnic Borders*. Oxford : Peter Lang Edition.
- O'Reilly, C. C. (2001). *Language, Ethnicity and the State, Volume 1*. Hampshire: Palgrave Publishers Ltd .
- Phadung, M., Suksakulchai, S., & Kaewprapan, W. (2016). Interactive whole language e-story for early literacy development in ethnic minority children. *Education and Information Technologies, 21*(2), 249–263.
- Schmidt, U. (2008). *Language Loss and the Ethnic Identity of Minorities*. Flensburg: European Centre for Minority Issues.
- Shibao, G., & Zhang, J. (2010). Language, work, and learning: exploring the urban experience of ethnic migrant workers in China. *Diaspora, Indigenous, and Minority Education, 4*(1), 47-63.
- Slomp, H. (2011). *Europe, a Political Profile: An American Companion to European Politics*. Oxford: ABC-CLIO.
- Venice Commission. (1994). *The Protection of Minorities: Collected Texts, By European Commission for Democracy through Law*. Strasbourg: Council of Europe press.
- Wicherkiewicz, T. (n.d.). *Endangered Languages, Ethnicity, Identity and Politics*. Retrieved from Languages in Danger: <http://languagesindanger.eu/book-of-knowledge/endangered-languages-ethnicity-identity-and-politics/>

- Zakareishvili, P., & Crnić-Grotić, V. (2016). *Minority languages in Georgia*. Council of Europe. Retrieved from https://www.coe.int/t/dg4/education/minlang/AboutCharter/Minority%20languages%20in%20Georgia_EN.pdf
- Zspa. (2019). *ქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა*. Retrieved ივნისი 25, 2019, from ჟვანიას სკოლა: <http://www.zspa.ge/geo/page/15>
- ასლამაზიშვილი, ლ. (2009). *სახელმწიფო ენის სწავლების მდგომარეობა ბოლნისის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში*. Retrieved ივნისი 25, 2019, from საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა: <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--10-ka-50---20-preferences---00-3-1-00-0-0-01-1-1utfZz-8-00&cl=CL3.1.8&d=HASH6528986a52a8ba92a48eff.3>=1>
- ბასილაია, მ. (2008). *ეთნოსები საქართველოში*. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. Retrieved from http://www.pmmg.org.ge/res/uploads/Etnosebi_Saqartveloshi.pdf
- ბექიშვილი, ნ. (2010). *თნიკური უმცირესობები - სახელმწიფოს ახალი ინიციატივა*. Retrieved ივნისი 25, 2019, from სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი: <http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619736&kat=227>
- კოპაძე, ე. (2009). *ახელმწიფო ენის პრობლემა სამცხეჯავახეთში*. Retrieved ივნისი 25, 2019, from საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა: <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.20&d=HASH6528986a52a8ba92a48eff.4>=1>

- ლობჯანიძე, მ. (2008). *ახელმწიფო ენის სწავლების პრობლემები სამცხე-ჯავახეთში*. Retrieved ივნისი 25, 2019, from საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა: <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL3.1.8&d=HASH6528986a52a8ba92a48eff.15.3>
- მატეუ, ს. ვ. (2016). *სომეხი უმცირესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში: სამოქალაქო ინტეგრაცია და მისი ბარიერები*. Retrieved from <https://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/11/somekhi-umtsiresoba-samtskhe-javakhethis-regionshi.pdf>
- მეხუზლა, ს., & რომე, ე. (2009). *განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში*. უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI).
- პირველი არხი. (n.d.). *მრავალფეროვანი საქართველო*. Retrieved ივნისი 25, 2019, from პირველი არხი: <https://1tv.ge/mravalferovani-saqartvelo/>
- საქსტატი. (2016). *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები*. სტატისტიკის ეროვნული სამსახური .
- ტაბატაძე, შ., & გორგაძე, ნ. (2015). *ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისათვის*. თბილისი: სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმშორისი. Retrieved from <http://cciir.ge/upload/editor/file/jurnali%20%20bilingvuri%20/axali%20dokumenti.pdf>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Irakli Baramidze

Positive attitudes towards the teaching of Georgian language in the
ethnic minorities living in compact

Public Administration and Public Policy

A thesis is submitted in fulfilment of the requirements for the Master degree of
Public Policy and Administration

Thesis Supervisor: Nana Macharashvili

Associate Professor, Department of Political Sciences

Tbilisi

2019